ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 18 ივლისი, 2018 №168 (7713) ფასი: 60 თეთრი

აკაკი ასათიანი: „ოცნება“ ჯოგია, რომელსაც ივანიშვილი უნიჭოდ მწყემსავს“

„კვირიკაშვილს სულ რომ აეყვავებინა საქართველო, ივანიშვილი მას მაინც გაუშვებდა“

გვ.5

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

პროკურატურამ ალავიძისა და ქუმსიშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრა

გვ.2

სამართლიანობის აღდგენა თუ ანგარიშსწორება

დეპუტატები ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტს აპირებენ?

გვ.2

„თრუსოს ხეობის დაკარგვის რეალური საფრთხე არსებობს“

გვ.4

დავით მაყიშვილი: „აქ აუცილებელია ჯარის ჩაყენება“

გვ.3

ბიძინა გუჯაბიძე: „სამართლიანობის აღდგენა ძალიან რთულია“

სამართალი გვ.7

ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეზე მოწმე ნიკა ქიტუაშვილი დაკითხეს

„ლადო გრიგალაშვილმა ნანგრევებისკენ, სადაც ანა ნაცვლიშვილის მკვლელობა მოხდა, შეშინებულმა გაიხედა“

სპეცოპერაცია ფოთჭალასა და ყარაჯალაში

დაკავებულია 7 ნარკორეალიზატორი

ეკონომიკა გვ.6

პრეზიდენტმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატად თორნიკე რიჟვაძე წარადგინა

ივნისში საარსებო მინიმუმი 4.8 ლარით შემცირდა



სათამაშო ბიზნესასოციაცია „ბლეფზე“ მიდის — მისი ხელმძღვანელი ურცხვად იტყუება

ISSN 1987-9385

3 გედევან ფოფხაძე: „დასაქმებულები მონებად არ უნდა ვაქციოთ“

2 გიორგი გახარია და მაია ცქიტიშვილი ვიცეპრემიერებად დანიშნეს

5 ლევან ჩაჩუა: „სამუშაო ადგილებზე რომ ხალხი იხოცება, ესეც ხელისუფლების ბრალია“

6 აკაკი ცომაია: „როგორი უფლებებითაც არ უნდა აღჭურვოთ შრომის ინსპექცია, პრობლემას ეს ვერ მოაგვარებს“

დეპუტატები ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტს აპირებენ?

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანოში დიდი ალიაქოთი იწყება. საპარლამენტო უმრავლესობაში უკვე ღია დაპირისპირება დაიწყო. დაპირისპირების მიზეზი ნაპრემიერალი გიორგი კვირიკაშვილი გახდა.

15 ივლისს ტყიბულის მაღაროში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრება სურდათ, მაგრამ კვირიკაშვილმა ამის ნება არ მისცა.

ირაკლი კობახიძის ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილს არ მოეწონა. დეპუტატ ბექა ნაცვლიშვილის თქმით, სპიკერმა ამ განცხადებით პარლამენტი დააკნინა.

პარლამენტის დამკნინებელ კობახიძეს უმრავლესობაში მომხრეებიც გამოუჩნდნენ. სპიკერის მსგავსად, ისინიც ამტკიცებენ, რომ შრომითი უსაფრთხოების წესების გამკაცრება გიორგი კვირიკაშვილის პოზიციის გამო ვერ მოხერხდა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე ამბობს, რომ ექსპრემიერი ითხოვდა, საკანონმდებლო ორგანოს შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კანონმდებლობა არ გაემკაცრებინა.

– ბატონმა ირაკლიმ თქვა ის, რაც რეალურად მოხდა და ამას ვადასტურებ სრული პასუხისმგებლობით, ნამდვილად ისე იყო, როგორც ბატონმა ირაკლიმ თქვა, ანუ ჩვენ გვქონდა განსხვავებული პოზიციები, საპარლამენტო გუნდში გვქონდა პოზიცია, რომ უფრო მკაცრი, ხისტი დამოკიდებულება უნდა იყოს და სანქციები უფრო ხისტი უნდა იყოს, ასევე აღსრულების მექანიზმები, შრომის ინსპექციის მანდატი უფრო ფართო უნდა იყოს, მაშინდელ მთავრობას სხვა დამოკიდებულება ჰქონდა, – ამბობს სოფო კილაძე.

განსხვავებული პოზიცია აქვს უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ დავით ჭიჭინაძეს. ის მიიჩნევს, რომ სპიკერი არასწორად იქცევა, როცა ცდილობს, ყველაფერი კვირიკაშვილს დააბრალოს. დეპუტატი ამბობს, რომ სამართლიანი იქნება, თუ კობახიძე თანამდებობას დატოვებს.

– 16 ივლისს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თავის დროზე უმრავლესობა კომპრომისზე წავიდა. მათ, ვინც 16 ივლისს გამოდიოდა და წინა მთავრობას ადანაშაულებდა, გავახსენებ, რომ ჩვენ გვქონდა უმრავლესობის სხდომა, რომელზეც გამოვედით მე, დიმიტრი ცქიტიშვილი, ლევან კობერიძე და ხაზგასმით განვაცხადეთ, რომ ქვეყანაში ასეთი უმსგავსობა უნდა დამთავრდეს. მაშინ სწორედ პარლამენტის თავმჯდომარე, უმრავლესობის ლიდერი და ფრაქციის თავმჯდომარე გამოდიოდნენ, ვითომ გვეთანხმებოდნენ, მაგრამ იძახდნენ, რომ ამგვარი კანონის მიღება ქვეყანაში ბიზნესგარემოს გააუარესებდა და ქვეყანას ინვესტირებისთვის არამიმზიდველს გახდიდა.

საკმაოდ გასაოცარი იყო ის, რაც 16 ივლისს მოვისმინე, როდესაც ითქვა, რომ ჩვენ კომპრომისზე წავედით, გამოდის, მთელი ჩვენი – „ქართული ოცნების“ მოღვაწეობა არის კითხვის ნიშნის ქვეშ დასმული. სწორედ ამას ვაპროტესტებ ამდენი ხანია, რომ ჩვენ კონიუნქტურულად მთავრობებს ვერგებით და არა – ადამიანებს, რომლებსაც დაპირებებს ვაძლევთ.

პარლამენტის თავმჯდომარეს ვურჩევ გაითვალისწინოს, რომ ის არ არის ვიღაცას დაქვემდებარებული ადამიანი. მინდა გაითვალისწინოს, რომ არც ჩვენ, დეპუტატები, არ ვართ მინისტრებისა და მთავრობის ხელქვეითები. შესაბამისად, კომპრომისები ხალხის ხარჯზე არ უნდა ვაკეთოთ. ამ განცხადების შემდეგ თანამდებობიდან პარლამენტის თავმჯდომარე უნდა გადამდგარიყო – თუკი მან ისეთი კომპრომისები დაუშვა, რის გამოც ხალხია დახოცილი. ჩვენ ბევრი სხვა კომპრომისული კანონი გვაქვს მიღებული, რომლებიც ძალიან ხშირად წინ დაგვხვდება, რადგან ადამიანის უფლებები დაცული არ არის. გამოდის, რომ კომპრომისები ხალხის საწინააღმდეგოდ არის გაკეთებული. როდესაც ამას ადამიანი აღიარებს, მხოლოდ აღიარება არ არის საკმარისი – ეს წასულ კაცს კი არ უნდა მიაძახო, შენც უკან უნდა გაჰყვე, – განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში ჭიჭინაძემ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ჭიჭინაძე კობახიძეს უპირისპირდება. რამდენიმე თვის წინ „ოცნებაში“ დიდი ამბები იყო. მაშინ დეპუტატმა ღიად თქვა, რომ სპიკერის იმპიჩმენტის საკითხს დააყენებდა.

ის დაპირისპირება ბიძინა ივანიშვილის მეორედ მოსვლამ მიანელა. ახლა სკანდალი თავიდან იწყება.

* * *

მეოცნებეთა მიერ ნაპრემიერალის გმობას გიორგი მარგველაშვილიც გამოეხმაურა. მან კონკრეტულად კობახიძის განცხადების კომენტირება არ ისურვა, სიტუაცია კი ასე შეაფასა:

– ნება მომეცით, არ გავაკეთო კომენტარი კონკრეტულად ბატონი კობახიძის ან სხვა დეპუტატების თაობაზე. უბრალოდ, ერთი რამე მინდა გითხრათ... მე მახსოვს, რომ 2017 წლის 22 დეკემბერს პარლამენტში მქუხარე ტაშით დამტკიცდა კვირიკაშვილის მთავრობა. მე მახსოვს, რომ მაისის დასაწყისში, როდესაც მქონდა პარლამენტში მოხსენება, რიგ საკითხებში გავაკრიტიკე საქართველოს მთავრობა და რიგი თემები წამოვწიე, როგორც პრობლემები.

მე მახსოვს, რომ მაშინ სასტიკად გამაკრიტიკა ამ ჯგუფმა, როგორც არასერიოზული და არაადეკვატური. აღმოჩნდა, რომ სულ ცოტა ხანში ეს მქუხარედ მიღებული ახალი მთავრობა, მისი პრემიერ-მინისტრი, პარლამენტში ჩემგან დაცული კვირიკაშვილი, თურმე წლების განმავლობაში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. ყოველივე ეს ძალიან უსიამოვნო ასოციაციებს აჩენს ჩვენი პოლიტიკური კულტურის მიმართ. ჩვენ უნდა გვქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს დავუფიქსიროთ ჩვენი შეხედულებები და ვიყოთ პასუხისმგებელი ერთი ან ორი თვის წინ გაკეთებულ განცხადებებზე მაინც. არ გავაკეთებ კონკრეტულად კომენტარს, მაგრამ ასე ჩამოყალიბდა ქართული პოლიტიკური კულტურა, რომ მქუხარე აპლოდისმენტებით გაყვანილი და დაცული პრემიერ-მინისტრი რამდენიმე დღეში თურმე ასეთი ნეგატიური პერსონა აღმოჩნდება.

გიორგი გახარია და მაია ცქიტიშვილი ვიცეპრემიერებად დანიშნეს

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ორი ვიცეპრემიერი იქნება.

პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის გადაწყვეტილებით, ვიცეპრემიერებად შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი დანიშნეს.

შესაბამის ბრძანებებს მთავრობის მეთაურმა ხელი გუშინ მოაწერა.

პპნ

პროკურატურამ ალავიძისა და ქუმსიშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრა

სამართლიანობის აღდგენა თუ ანგარიშსწორება

შორენა მარსაგიშვილი

გიორგი კვირიკაშვილისა და მისი გუნდის საქმე შავად არის. გუშინ, 17 ივლისს, ოფიციალურად დადასტურდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზურაბ ალავიძისა და დიმიტრი ქუმსიშვილის წინააღმდეგ საქმეა აღძრული. ამის თაობაზე მედია უკვე რამდენიმე თვეა, წერს, მაგრამ არც „ოცნება“ და არც საქმეაღძრულები ამ ინფორმაციას არ ადასტურებდნენ.

გუშინ, 17 ივლისს, ცნობილი გახდა, რომ ზურაბ ალავიძე და დიმიტრი ქუმსიშვილი პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდნენ.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, უწყების საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცალკეულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება/გაფლანგვის ფაქტებზე.

– ხსენებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოიკითხნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი ზურაბ ალავიძე. საქმეზე გრძელდება გამოძიება და შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას, – იუწყება საგამოძიებო უწყება.

ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, მალე დაკითხვაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილ შეფსაც მიიწვევენ. გიორგი სეთურიძე ალავიძე-ქუმსიშვილის კლანთან დაახლოებული პირი იყო. მმართველი გუნდის კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ მალე საგამოძიებო უწყებაში ნაპრემიერალსაც ვიხილავთ.

კვირიკაშვილის გამოკითხვაზე დაბარება ასე მარტივად არ დასრულდება. ყოფილი პრემიერი ბევრ ინფორმაციას ფლობს და, შესაძლოა, განახლებულ მთავრობას სერიოზული უხერხულობა შეუქმნას.

ალავიძისა და ქუმსიშვილის მიმართ სერიოზული კითხვები არსებობდა, მაგრამ არავის სჯერა, რომ მათ წინააღმდეგ საქმე სიმართლის დასადგენად აღიძრა. ყველა, მათ შორის „ოცნებაც“, აღიარებს, რომ საქმე ანგარიშსწორებასთან გვაქვს. ივანიშვილს კვირიკაშვილთან ძალიან დაეძაბა ურთიერთობა. „ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მათ ძალიან მძიმე საუბარი ჰქონდათ.

საუბრის მეორე დღეს კვირიკაშვილი გადადგა, ერთი თვის თავზე კი მისი გუნდის წევრებს პროკურატურაში უხმეს.

პროკურატურაში გამოკითხულებმა გამოკითხვის შემდეგ კომენტარები გააკეთეს. ალავიძეცა და ქუმსიშვილიც ნირწამხდრები ჩანდნენ.

– ზრდილობიანად განხორციელდა ზარი, რომლის დროსაც მე მთხოვეს პროკურატურაში მისვლა. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, პროკურატურაში მისვლა გამოკითხვაზე მთხოვეს, სადაც უნდა დამეფიქსირებინა პოზიცია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

მე რა კითხვებზეც ვიძლეოდი პასუხებს, ეს კითხვები ჩემთან პირდაპირ დაკავშირებული არ არის. აქედან გამომდინარე, ამაზე მსჯელობა მიჭირს, თუმცა მე მინდა მჯეროდეს, ყველაფერი იქნება სამართლიანად და გამჭვირვალედ. მე აბსოლუტურად ღია ვარ საზოგადოებასთან კითხვების ნაწილში და ვაპირებ, რომ ასეთი ღია დავრჩე, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა ტვ პირველთან საუბარში.

გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზად არის ზურაბ ალავიძე.

– ვიმყოფებოდი მთავარ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით. გამოკითხვაზე შეკითხვები შეეხებოდა ჩემს თანამდებობაზე დანიშვნამდე და ასევე შემდგომ პერიოდში ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლენილ კომპანიებსა და შესყიდვებს. გამოძიებას მივაწოდე ჩემს

ხელთ არსებული სრული და ამომწურავი ინფორმაცია. როგორც იცით, მიმდინარეობს გამოძიება და დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში მზად ვარ, პასუხი გავცე მათ, – აცხადებს ალავიძე.

მათ გამოკითხვაზე დაბარებას საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა.

მარგველაშვილის თქმით, ეს პროცესი არ უნდა დაემსგავსოს „ტრაქტორების საქმესა“ და „კაბელების საქმეს“:

– კონკრეტულად არ ვიცი, რის გამო ხდება გამოკითხვა ან არის თუ არა დევნის პროცესი დაწყებული. თუმცა მიმაჩნია, რომ მთავარი შემადგენელი არის ამ პროცესში ის, რომ პროცესები უნდა მიმდინარეობდეს რაც შეიძლება გამჭვირვალედ და საზოგადოებას არ დარჩეს კითხვები. საზოგადოებას აქვს კონკრეტული კითხვები იმასთან მიმართებით – რანაირად ფორმირდება ხელისუფლების ვექტორები და ძირითადი ორიენტაციები.

მე არაერთხელ მითქვამს და ბატონი კვირიკაშვილის გადადგომის პირველივე დღეს აღვნიშნე, რომ არ შეიძლება საქართველოში პრემიერ-მინისტრები უცებ, უარგუმენტოდ ქრებოდნენ პოლიტიკური პროცესებიდან. ეს კითხვა გაგრძელდა აჭარასთან მიმართებითაც, როდესაც ბატონმა პატარაძემ მადლობა გადაუხადა პარტიას და წავიდა თანამდებობიდან. ეს კითხვა მაქვს მე და, შესაბამისად, ნებისმიერი პროცესი, რომელიც ამას მოჰყვება, უმნიშვნელოვანესია, რომ იყოს უფრო მეტად გამჭვირვალე, არ უნდა დაემსგავსოს ეს პროცესი იმ საქმეებს, რომლებიც ამ მიმართებაში გვახსოვს. ეს არ უნდა იყოს ტრაქტორების საქმე, ეს არ უნდა იყოს კაბელების საქმე. საზოგადოებას მაღალი ინტერესიდან გამომდინარე უნდა მიეცეს მაქსიმალური ინფორმაცია ამ მიმართულებით, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დიმიტრი ხუნდაძე გამორიცხავს, რომ ყოფილი მინისტრების წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა ხორციელდება. მისი თქმით, ის რომ ისინი პროკურატურაში დაიბარეს, არ ნიშნავს, რომ დამნაშავეები არიან.

– თუკი რამე კითხვა არსებობს, მას პასუხი უნდა გაეცეს. ჩვენი თანაგუნდელების პროკურატურაში დაბარება იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დამნაშავეები არიან. შესაძლოა, პროკურატურაში ადამიანი დაიბარონ თანამდებობაზე ყოფნის დროს და თანამდებობის დატოვების შემდეგაც. არსებობს კითხვები, დაველოდოთ, რა იქნება პასუხი, – განუცხადა ჟურნალისტებს დიმიტრი ხუნდაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გედევან ფოფხაძე: „დასაქმებულები მონებად არ უნდა ვაქციოთ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გედევან ფოფხაძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს საკითხზე, პარლამენტში შრომითი უფლებების შესახებ კანონპროექტი იყო თუ არა შესული გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის დროს.

– ბატონო გედევან, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ შრომის უსაფრთხოების საკითხზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის ხისტმა პოზიციამ პარლამენტს სწორი ზომების მიღების განხორციელების საშუალება არ მისცა. იყო ასეთი კანონპროექტი პარლამენტში შემოსული?

– ვერ გეტყვით, იყო თუ არა რამე სახის კანონპროექტი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პარლამენტში შემოსული. თუ ასეთი კანონპროექტი იქნებოდა შემოსული, მაშინ მას განხილვები მოჰყვებოდა, მაგრამ ასეთი კანონპროექტის შესახებ ჩემთვის ცნობილი არ არის.

რაც შეეხება მოქმედ კანონმდებლობას, მოქმედი კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ უსაფრთხოების ნორმები იყოს დაცული, მაგრამ დამსაქმებლები ბოროტად იყენებენ ამ დამოკიდებულებას უსაფრთხოების ნორმების მიმართ. ასევე მოქმედი კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დამსაქმებლებს პასუხი მოეთხოვოთ.

ჩვენ, თუ უფრო მეტის გაკეთება გვინდოდა ამ მიმართულებით მაშინ, პარლამენტში ძალიან ბევრნი ვართ იმ კატეგორიის ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ 2012 წლამდე კატეგორიულად ვაპროტესტებდით არსებულ შრომის კოდექსს და მის წინააღმდეგ გამოვდიოდით მაშინდელი ხელისუფლების პირობებში. თუ გახსოვთ, როდესაც იუსტიციის სამინისტრომ პირველად შემოიტანა შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტი, მაშინდელმა განათლების მინისტრმა და დღევანდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მას კომუნისტური შრომის კოდექსი უწოდა. თუმცა, ჩვენ ყველანაირად მხარს ვუჭერდით ამ პროექტს.

ზოგადად, ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს გამოვდიოდი პირადად მე და მაშინ ოპოზიციაში მყოფნი და ვამბობდით, რომ დასაქმებულთა უსაფრთხოების ნორმების დაცვა არ ხდებოდა ისე, როგორც ეს სტანდარტების შესაბამისად უნდა ხდებოდეს. ახლა იმაზე საუბარი, რომ ვინ უფრო მემარცხენეა და ვინ უფრო მემარჯვენე პოზიციაზე, არ მგონია, სწორი იყოს ამ კონტექსტში.

– ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ ყოფილ პრემიერს უფრო ლიბერტალიანური მიდგომა ჰქონდა. დავით ჭიჭინაძემ თქვა, თუკი პარლამენტის თავმჯდომარე აღიარებს, რომ ისეთი კომპრომისი დაუშვა, რომელმაც ხალხის დაღუპვა გამოიწვია, მაშინ თვითონაც უნდა გადადგეს. ეს საკითხი პარლამენტში აქტუალური იყო, ასე იდგა საკითხი?

– ჩვენ მსგავს მოლაპარაკებასა და დიალოგში არასდროს ვყოფილვართ ჩართული. ჩემთვის ვინმეს რამე მსგავსი რომ ეკითხა არავითარ შემთხვევაში კომპრომისზე არ დავთანხმდებოდი. რა კომპრომისზე შეიძლება იყოს საუბარი ამ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს ეხება საქმე!

თუ შრომისა და უსაფრთხოების ნორმებს წესრიგში არ მოვიყვანთ, მაშინ ძალიან რთული იქნება. თუ დასაქმებულები, ერთი მხრივ, მონებად ვაქციეთ და მეორე მხრივ კი – იმ რისკფაქტორ ჯგუფებად, რომელთაც არ ეცოდინებათ, დილით სამსახურში წასულები საღამოს სახლში ცოცხლები დაბრუნდებიან თუ არა, მაშინ რად გვინდა რამე?! აქ კომპრომისებზე საუბარი არათუ უხერხულია, უადგილოა. მე არ ვიცი, რა სახის დიალოგსა და კამათზე იყო საუბარი. ამ დონის კამათზე ვერ იქნებოდა, არ შეიძლება, განხილვის საგანი იყოს ადამიანის უსაფრთხოება.

მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ეს თემა, ბიზნესი, უფრო მნიშვნელოვანია თუ სამსახურში ადამიანის უსაფრთხოება, განხილვის საგანი ვერ იქნებოდა. ამ საკითხის ასე დაკნინება, არათუ კომპრომისზე წასვლა, არც ბუნებრივი და არც ლოგიკური, არა მგონია, იყოს. როგორ შეიძლება, ასე დააყენო საკითხი?! როგორ შეიძლება, ასეთი მიდგომა არსებობდეს: ბიზნესის განვითარებაა საჭირო და თუ ადამიანები სამსახურში დაიღუპებიან, რა ვუყოთ, ბიზნესი უნდა გაკეთდეს! არა მგონია, ვინმე ასე აყენებდეს საკითხს. მე არ ვიცი, საერთოდ რა მოლაპარაკებებზეა საუბარი, მაგრამ ერთი რამე ნამდვილად ვიცი: შრომითი უფლებების კუთხით დასაქმებული არ უნდა მოექცეს უფლებრივად დაჩაგრულ მდგომარეობაში. ეს დაუშვებელია.

– ბატონო გედევან, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხართ. თქვენ ამბობთ, რომ ეს საკითხი ასე აქტუალური არ ყოფილა პარლამენტში, მაგრამ მომავალში რას აპირებთ ამ მიმართულებით, რომ ადამიანები არ იხოცებოდნენ სამსახურში? ვინ მოახდენს ამ კანონპროექტის ინიცირებას, რომ ვიღაცებმა ბიზნესზეწოლაზე არ ილაპარაკონ?

– მოქმედი კანონმდებლობაც არ იძლევა იმის საშუალებას დასაქმებულებთან მიმართებით, რომ დამსაქმებელს ჰქონდეს ასეთი განუკითხაობის უფლება.

– თუ ასეა და დასაქმებულს კანონი იცავს, მაშინ რატომ იხოცებიან ადამიანები სამსახურში?

– თუ რამე კიდევ არის ამის ზევით ინსტიტუციურად დასახვენი, ამ კუთხით უნდა გაძლიერდეს კანონმდებლობა. უფლებრივი თვალსაზრისით დამსაქმებელს ვალდებულება ისედაც აქვს დასაქმებული პირის მიმართ და აქ კანონმდებლობა ძლიერია. საკონტროლო ფუნქციები შეიძლება კიდევ გაძლიერდეს. ვიმეორებ, მე არ ვიცი, რა სახის საკანონმდებლო ცვლილებაზე იყო საუბარი, მე შემიძლია მხოლოდ ჩემი ვარაუდი გითხრათ ამ შემთხვევაში, რომ აქცენტი სახელმწიფოს მხრიდან საკონტროლო ფუნქციაზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი ინსპექტირების თვალსაზრისით. რეალურად უნდა მოწმდებოდეს, დამსაქმებელი რამდენად იცავს უსაფრთხოების ნორმებს.

– მანამდე თბილისში მშენებარე კორპუსებიდან ცვოდნენ ადამიანები და იღუპებოდნენ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კანონმდებლობა ვერ იცავდა მათ.

– უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს.

– და თუ ვერ უზრუნველყოფს?

– სწორედ ამას ვამბობ, რომ ინსპექტირება უნდა გაძლიერდეს და ამ კუთხით უნდა მოხდეს კანონმდებლობის ცვლილება. შემოწმება უნდა იყოს შესაძლებელი და შემოწმების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ გარკვეულ სტრუქტურებს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ფორმალურად ყველა გააფორმებს ქაღალდზე, რომ უსაფრთხოების ნორმები დაცულია, მაგრამ ადამიანები მაინც დაიხოცებიან.

მე არა მგონია, მოქმედი კანონმდებლობა ეფექტური იყოს მოქმედებაში. აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ საკონტროლო ფუნქციებზე უნდა იყოს მსჯელობა. თუ ვინმეს მიაჩნდა, რომ საკმარისი არ იყო გაკეთებული ამ მიმართულებით, ახლა უხერხულია ძველი რიცხვით საუბარი.

მაგალითად, ყველა ვხედავთ, რომ ფერო ზესტაფონს წამლავს, მაგრამ ვინმე რამეს აკეთებს ან ამბობს ამაზე?! ფერო რომ დავხუროთ, ყველაზე დიდი ექსპორტიორია ქვეყანაში და ამას ეკონომიკა ვერ მოერევა, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხალხი უნდა მოვწამლოთ.

საუბარი არ არის მხოლოდ მაღაროზე, თუნდაც ფეროს ქარხანა, რომელიც მთელ ქალაქს წამლავს, შეიძლება იმ ჰაერმა იმ წუთში არ მოგკლას, მაგრამ ფიზიკურად რამდენი ხანი შეიძლება ამას ადამიანმა გაუძლოს?! ეს პირდაპირ საწამლავია. ამიტომ, მე რომ მკითხოთ, ინდივიდუალური მიდგომაც არ არის სწორი. ზოგადად დასაქმებულის უსაფრთხოების ნორმები დაცული უნდა იყოს ყველა მიმართულებით. ინსტრუქტაჟიც უნდა უტარდებოდეთ და ა.შ. შემდეგ ამ ყველაფრის გადამოწმებაც უნდა მოხდეს. თუ უბრალოდ ხელს მოაწერს დასაქმებული, რომ უსაფრთხოების სტანდარტები გაიარა და მეტი არაფერი, მაშინ ეს ყველაფერი ფორმალობა იქნება, ეს ხომ უბრალოდ ტყუილი იქნება. შესაბამისად, ეს სტანდარტები რეალობაში უნდა იყოს დაცული და გატარებული, ამას ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით. მე მაინც ვფიქრობ, რომ კომპლექსური მიდგომაა საჭირო.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში თქვენი პოზიცია როგორია, მინდელის მაღარო დროებით მაინც უნდა დაიხუროს, სანამ სიტუაცია გაირკვევა, რადგან ვერც სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას და ვერც ბიზნესი, რომ ადამიანები კიდევ არ დაიხოცონ?

– ამ ეტაპზე რაც უნდა განხორციელდეს დროებითი ღონისძიება, ალბათ ეს არის. უნდა გაირკვეს, რა იწვევს ამ ყველაფერს, რატომ ხდება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ერთი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი და ერთი ჟესტი. ჩვენ თუ გვინდა, ზოგადად დაიხვეწოს შრომითი უფლებების დაცვა, მაშინ ამ დაცვის სტანდარტი უნდა შეიცვალოს.

– რა კუთხით?

– კონტროლი უნდა გამკაცრდეს, თუ რა პირობებში უხდება დასაქმებულს მუშაობა და ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე არ უნდა დარჩეს.

– პარლამენტში კანონპროექტი იქნება ინიცირებული? ვინ უნდა აიღოს ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე?

– ინპექტირების პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს, სხვა ვერავინ აიღებს. კერძო სტრუქტურები ვერ შეძლებენ ამ სამუშაოს შესრულებას. მაგალითად, დასაქმებული დამსაქმებლის წინააღმდეგ სასამართლოში არასდროს წავა, თუ კონფლიქტში შევა, შეიძლება სამსახური დაკარგოს. ამიტომ აქ სახელმწიფოს აქვს შრომითი უფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რომელიც საკუთარ თავზე უნდა აიღოს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩართვა აუცილებელი და სავალდებულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს ვერ შევუქმნით.

ბიძინა გუჯაბიძე: „სამართლიანობის აღდგენა ძალიან რთულია“

ზღვა მასალაა, ზღვა საქმეა, უამრავი ზედამხედველი პროკურორია საჭირო, რომ საქმეები ამოტივტივდეს, დაიწყოს ძიება, ძიება საბოლოო წერტილამდე მივიდეს და სამართალი აღდგეს

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ახალი მთავარი პროკურორის დანაშაულების გამოძიება შესაძლებელია, მაგრამ დიდი სიფრთხილეებია, იდგან მტკიცებულებები გამქრალია.

ბიძინა გუჯაბიძის განცხადებით, სამართალდამცავ სისტემაში კადრების სწრაფი და რადიკალური ცვლილებები რეალურად ძნელი განსახორციელებელია.

– ბატონო ბიძინა, მთავარი პროკურორის დამტკიცების დროს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ახლანდელი ხელისუფლების გამოწვევა სამართლიანობის აღდგენაა. რეალურად, სამართლიანობის აღდგენა ყველა ხელისუფლების გამოწვევაა. იმედი გაქვთ, რომ ახალი მთავარი პროკურორი, ბატონი თადუმაძე, სამართლიანობის აღდგენის გზაზე სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს და სამართლიანობას აღადგენს?

– დარწმუნებული ვარ, ბატონი თადუმაძე სამართლიანობის აღდგენას შეეცდება, მაგრამ, რამდენად გამოუვა, არ ვიცი.

– რატომ შეიძლება არ გამოუვიდეს?

– თუ ზოგადად ვიმსჯელებთ, სამართლიანობა კარგა ხანია დარღვეულია. გადატრიალების შემდგომ პერიოდში, რეალურად, უსამართლობის კასკადი იყო. ჯერ კიდევ არ არის გამოძიებული სახელმწიფო გადატრიალების ფაქტორები, რა იყო, ვინ არის დამნაშავე. საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოგვიკლეს და მისი მკვლელობის საქმის გამოძიება ბოლომდე არ არის მიყვანილი. ასე რომ, პირობითად შეიძლება დავარქვათ 1992-2012 წლებში მომხდარი დანაშაულების გამოძიება, რომელიც შეიძლება დაიწყოს და რაღაც ეტაპამდე მივიდეს. საბოლოოდ ამ საქმეების გამოძიებას დრო სჭირდება. თუმცა, ნამდვილად ვიცი, რომ ბატონი თადუმაძე სამართლიანობის აღდგენას შეეცდება, მაგრამ სრულიად სამართლიანობის აღდგენა თითქმის შეუძლებელია, თან იმხელა თემაა, ათი მთავარი პროკურორი არ ეყოფა.

– მეც ცოტა ბუნდოვანი მეჩვენა ბატონი თადუმაძის პასუხი კითხვაზე, შეძლებს თუ არა სამართლიანობის აღდგენას. პირდაპირ არ თქვა, აუცილებლად აღვადგენო.

– ვერ იტყოდა. ძნელია ამხელა ტვირთის აღება და 100%-იანი გარანტიების შექმნა, რომ სამართლიანობას აღადგენს და ყველაფერი გასწორდება, ადამიანებს წართმეული ქონება დაუბრუნდებათ, დამნაშავეები დაისჯებიან და ა.შ. ამიტომ არის ბატონი თადუმაძე ზომიერი თავის გამონათქვამებში, მაგრამ ნამდვილად შეეცდება სამართლიანობის აღდგენას.

– მაინც რა უშლის ხელს, რომ გამოძიებულ იქნეს ის დანაშაულები, რომლებიც, ვთქვათ, 10-15 წლის განმავლობაში ან ბოლო პერიოდში იქნა ჩადენილი და ნორმალურად არ გამოიძიეს, რასაც პროტესტიც კი მოჰყვა? შესაბამისი კადრები არ ჰყავს პროკურატურასა და გამოძიებას და მხოლოდ მთავარი პროკურორის შეცვლა საკმარისი არ არის?

– სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის და ზოგადად ხელისუფლებისთვის ძალიან რთულია წარსული ჩადენილი დანაშაულობების გამოძიება. ზოგი დანაშაულის მტკიცებულებები გამქრალია, ზოგზეც სამართლებრივი თვალსაზრისით რაღაც ფაქტორები მოქმედებს.

– რა ფაქტორები მოქმედებს?

– ზოგი დამნაშავე გაერიდა აქაურობას, ზოგ დაზარალებულს საჩივარიც არ აქვს შეტანილი და დაზარალებულადაც არ არის ცნობილი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„თრუსოს ხეობის დაკარგვის რეალური საფრთხე არსებობს“

დავით მაყიშვილი: „აქ აუცილებელია ჯარის ჩაყენება“

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო დროს ოსებმა ყაზბეგს ცუდად დაადგეს თვალი. ცხინვალის ხელისუფლება გაეჩოსაც ჯი სთხოვს დახმარებას, რომ ქართველებმა მათ თრუსოს ხეობა დაუბრუნონ. ოსთა მტკიცებით, მათ ეს მინა ბოლშევიკებმა წაჰგლიჯეს.

რუსი ოკუპანტების ამ გამოხდომას ოფიციალური თბილისი ძალიან მშვიდად შეხვდა. ჩვენს ხელისუფლებას, პრინციპში, არაფერი ადარდებს და აღელვებს. არადა, სიმშვიდის საბაბი ნამდვილად არა აქვთ.

15 ივლისს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტ გიორგი გვიშიანს რუსული ნომრიდან დაურეკეს და ყაზბეგთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია მიაწოდეს.

რუსთავი 2-ის ცნობით, უცნობი ადამიანი მას ქართული და რუსული სპეცსამსახურების ერთობლივი გეგმის შესახებ უყვება. ზარის ავტორი ირწმუნება, რომ მალე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ოკუპაცია იგეგმება.

გვიშიანის თქმითვე, მას იმავე ღამით კიდევ დაურეკეს და უთხრეს, რომ, თითქოს, მომზადებულია საფუძველი ყაზბეგის ოკუპაციისთვის. გვიშიანის განცხადებით, ზარის ავტორმა უთხრა, რომ რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურების ოპერაციაა.

– საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურებმა ერთობლივი სპეცოპერაცია ჩაატარეს, რომ შექმნილიყო პირობა შემდგომში რუსეთისთვის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ოკუპირებისთვის. ოპერაცია ისე ჩატარდა, რომ დამნაშავე ქართული მხარე გამოვიდეს. კონკრეტული ინფორმაცია უკვე მოგაწოდეთ, სხვას ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ჩატარდა რუსეთისა და საქართველოს ოპერაცია, – განაცხადა სატელეფონო ზარის ავტორმა.

კურიერის ცნობით, ერთ-ერთ ვირუსულ ვებგვერდზე არის სატელეფონო ბაზა, სადაც ფიქსირდება ნომერი, საიდანაც გიორგი გვიშიანს დაურეკეს. ვებგვერდზე არის რუკა, რომელზეც ამ ზარის ფუნქციონირების ადგილად ჩრდილოეთ ოსეთი, ალანია ფიქსირდება.

შესაძლოა, ეს სატელეფონო ზარი მართლაც არაფერს ნიშნავს და ის ხალხის დაპანიკებას ისახავს მიზნად, მაგრამ, არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ინფორმაციის გაჟღერებით რუსებს საზოგადოების განწყობის შესწავლა სურთ.

ამ სატელეფონო ზარამდე ცოტა ხნით ადრე ცხინვალის ხელისუფლებამ თრუსოს ხეობის დაბრუნება მოითხოვა. თრუსოს ხეობა ყაზბეგის რაიონს ეკუთვნის. ის ოკუპირებულ ჯავას ესაზღვრება. ხეობაში გადმოსვლა ალაგირიდანაც შეიძლება.

თრუსოს ხეობის დაბრუნებას ოსები აგვისტოს ომის დასრულების შემდეგაც ითხოვდნენ. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იქ, შესაძლოა, რუსებს დესანტი გადმოესხათ.

მაშინდელმა ხელისუფლებამ თრუსოს ხეობა საგანგებოდ გაამაგრა. ამ პროცესს პირველი ბრიგადის მაშინდელი მეთაური, პოლკოვნიკი დავით მაყიშვილი ხელმძღვანელობდა.

– 2009 წლის ზაფხულში ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ თრუსოს ხეობა მათ შემადგენლობაში უნდა შესულიყო და ისინი თრუსოს ხეობაზე აქტიურად ალაპარაკდნენ.

სწორედ იმ პერიოდში თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ სადაზვერვო ქვედანაყოფს ვხელმძღვანელობდი და მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, დეტალურად შემესწავლა ეს მიმართულება, იყო თუ არა აღბათობა იმისა, რომ მომხდარიყო თრუსოს ხეობის მიტაცება.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ხეობა მთლიანად, ასევე სავარაუდო მარშრუტები ჯავის ხეობიდან გადმოსვლის შემთხვევაში, ჩემს სადაზვერვო ჯგუფთან ერთად მოვახერხეთ ოკუპირებული ჯავის ტერიტორიაზე შელწევა ფოტო და ვიდეო გადაღების მიზნით და მოწინააღმდეგის სავარაუდო მარშრუტების შესასწავლად. მოპოვებული მასალა და ვრცელი ინფორმაცია წარვუდგინეთ ხელმძღვანელობას და დავდეთ დასკვნა, მოწინააღმდეგეს ნებისმიერ დროს, გარდა ზამთრის პერიოდისა, შეეძლო თრუსოს ხეობაში შემოსვლა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ იქ განლაგებული ქართველი მესაზღვრეების საგუშაგო შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე ტოვებდა ხეობას მკაცრი კლიმატური პირობების გამო.

მოწინააღმდეგის სამოქმედო გეგმის განხილვის შედეგად მივედით ერთ დასკვნამდე, რომ მოწინააღმდეგე შეეცდებოდა გაზაფხულზე თრუსოს ხეობის დაკავებას. შემდეგ ისინი გამოვიდოდნენ სოფელ კობის მონაკვეთზე, გამაგრდებოდნენ ვიწრო ხეობაში, ჩაკეტავდნენ უღელტეხილს და მისცემდნენ საოკუპაციო ქვედანაყოფებს დარიალის ხეობით შემოსვლის შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში. ალბათ ხვდებით, რომ დარიალის ხეობის რელიეფიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგეს არ აქვს მანევრის საშუალება და მათ კოლონებს ტაქტიკური მარშით უნდა განეხორციელებინათ ყაზბეგში შემოსვლა.

მაშინდელმა ხელმძღვანელობამ აღნიშნული საფრთხის შესახებ მოახსენა პრეზიდენტს და მივიღეთ დავალება, გაგვემაგრებინა თრუსოსა და დარიალის ხეობები, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში დავით მაყიშვილი.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ის შეიარაღებული ძალებიდან წავიდა. თადარიგის პოლკოვნიკი ამბობს, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ თრუსოს ხეობიდან ჯარი გამოიყვანა.

მართალია, ამ წლების განმავლობაში თრუსოს მიმართულებით არაფერი მომხდარა, მაგრამ მაყიშვილი მაინც შეშფოთებულია და ამბობს, რომ რუსები ამ მიმართულებით სერიოზულად მუშაობენ.

– ამზადებენ ნიადაგს, ამ გეგმაზე დიდი ხანია მუშაობენ. მოსახლეობაზეც აისახა უკვე ეს განწყობა. შეიცვალა დამოკიდებულება რუსების მიმართ. დიდი საფრთხე გველოდება. არის იმის საშიშროება, რომ თრუსოს ხეობა დაიკავონ, ჩაკეტონ კობი– გუდაურის მონაკვეთი და ხევი და დარიალი მოსწყვიტონ საქართველოს, – ამბობს თადარიგის პოლკოვნიკი.

ის იმაზეც საუბრობს, თუ რატომ არის რუსებისთვის თრუსოს ხეობა ასეთი მნიშვნელოვანი.

– დარიალში შემოსვლას პირდაპირ სჭირდება დრო და ხეობა მოწინააღმდეგეს მანევრის საშუალებას არ აძლევს, ამიტომაცაა თრუსო მათთვის სტრატეგიული, კობში გამაგრდებიან და მოიგერიებენ პირველ შეტევას, ამ დროს კი დარიალში გამოივლის კოლონა უპრობლემოდ.

ავიაცია არ გვყავს მანდ, სამხედროები აღარ არიან, თრუსოს ხეობაში ასევე გვყავდა ამფეთქებლები. მთელი დარიალის ხეობა დავბურღეთ. ამფეთქებლებს ევალებოდათ, ჩაედოთ დაბურღულ წერტილებში ასაფეთქებელი და აეფეთქებინათ, რათა დაკეტილიყო დარიალი. ეგენიც გამოიყვანეს, – აღნიშნავს მაყიშვილი.

მისივე თქმით, სახელმწიფოს ყაზბეგსა და სოფელ სიონში სახლები ჰქონდა თავდაცვის ბიუჯეტით ნაყიდი.

– იქ საბრძოლო მასალა და იარაღი იყო დასაწყობებული. სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობისთვის უნდა დაგვერიგებინა, – იხსენებს პირველი ბრიგადის ყოფილი მეთაური.

მართალია, მას არსებული ხელისუფლება გულზე არ ეხატება, მაგრამ მათ რჩევებს მაინც აძლევს.

– ხელისუფლებამ თრუსოში უნდა დააბრუნოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფი, ის წინ გაწეული ბაზა უნდა აღდგეს, ხეობა უნდა გამაგრდეს აუცილებლად. მანდ ვერტმფრენებიც გვყავდა ზამთარ-ზაფხულ და ბიჭები სულ მანდ იყვნენ როტაციის პრინციპით.

მლეთაში საარტილერიო დანადგარი „გრადიც“ გვყავდა დამალული, რომელიც პირდაპირ სწვდებოდა საზღვარს. ამ ყველაფერს ვმალავდით და ვნიღბავდით, მაშინაც კი ევროკავშირის დამკვირვებლები მკაცრად გვაკონტროლებდნენ, – ამბობს თადარიგის პოლკოვნიკი.

ბიძინა გუჯაბიძე: „სამართლიანობის აღდგენა ძალიან რთულია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ძალიან რთული პროცედურული საკითხებია. პროკურატურისთვისაც ძალიან ძნელია გამოძიების დაწყება დანაშაულზე, როცა დაზარალებულს საჩივარიც კი არ აქვს შეტანილი.

– 52 ათასი საჩივარია შესული მთავარ პროკურატურაში, რომ მათ მიმართ ჩადენილ იქნა დანაშაული.

– ზღვა მასალაა, ზღვა საქმეა, უამრავი ზედამხედველი პროკურორია საჭირო, რომ საქმეები ამოტივტივდეს, დაიწყოს ძიება, ძიება საბოლოო წერტილამდე მივიდეს და სამართალი აღდგეს.

– ბევრ საქმეზე მოქალაქეებს სახელმწიფოსთან აქვთ სადავო, რადგან ადამიანებს ხელისუფლებამ სახელმწიფოს სახელით ჩამოართვა ქონება უკანონოდ. მოგეხსენებათ, ნოტარიუსებთან ღამით მიჰყავდათ ადამიანები და სახელმწიფოს სახელზე აჩუქებინებდნენ. სახელმწიფოს ხომ შეუძლია, ადამიანებისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაზე სწრაფი გადაწყვეტილება მიიღოს?

– გეთანხმებით, შედარებით ადვილია, წართმეული ქონების დაბრუნება, როდესაც მოდავე არ ჰყავს და სახელმწიფოა მხარე. თუმცა, გარკვეულ საქმეებზე სახელმწიფოც განიარაღებულია, რადგან ზოგიერთი ქონება გადაყიდულია და უკვე მესამე-მეოთხე პირის ხელშია, ანუ პატიოსანი მყიდველი ჰყავს. ასეთ ვითარებაში ძნელდება რეაგირება და საბოლოო შედეგის მიღება. თუმცა, ვფიქრობ, აქაც კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზი და ერთ-ერთი ფაქტორია სისხლის სამართლის სისტემის მუშაობაში. როცა სოციალისტურ წყობაში ვცხოვრობდით, მაშინ იყო წესი „რეგრესის შესახებ“. იმ დროს სახელმწიფო დაზარალებულს ზარალს უნაზღაურებდა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო აწარმოებდა სამართლებრივ დავასა და დამნაშავე პირის სისხლისსამართლებრივ დევნას. თუ არ ვცდები, ახლა ასეთი ნორმა აღარ არსებობს და ხარვეზია, რაც ხელს უშლის გარკვეული ტიპის საქმეების გამოძიებასა და სამართლებრივ გამოძიებას.

– მე მაინც მგონია, რომ მთავარი მონდომება და პოლიტიკური ნებაა.

– პოლიტიკური ნება არის.

– თუ ნება არის და მთავარი პროკურორიც მონდომებულია, სამართლიანობის აღდგენას წინ ვერაფერი აღუდგება.

– დიახ, ნება არის და, როგორც ვიცი, ზოგიერთი საქმის ძიება ახლაც მიმდინარეობს. ალბათ, რაღაც პრიორიტეტები გამოკვეთილი იქნება. თუმცა, 50 ათას საქმეზე რეაგირება საკმაოდ რთულია.

– თქვენ როგორ აფასებთ იმ დეპარტამენტის მუშაობას, რომელიც შეიქმნა თავის დროზე პროკურატურაში 2004-2012 წლებში მომხდარი დანაშაულების გამოსაძიებლად? მგონი, დიდი ვერაფერი გააკეთა.

– ამ საგამოძიებო დეპარტამენტმა გარკვეული ხარვეზებით იმუშავა. მე გარკვეული შეხება მქონდა მათთან – მთხოვეს და კონკრეტული საქმის გამოძიების დაჩქარების შუამდგომლობით პროკურატურას მივმართე, თუმცა, მწირი სამართლებრივი რესურსით იძიებდნენ საქმეს. საკმარისი გამომძიებლები არ ჰყავთ. აქედან გამომდინარე, გარკვეული ხარვეზები აქვს.

– პროკურატურაში საგანგებოდ შექმნილმა საგამოძიებო დეპარტამენტმა შედეგი რომ ვერ დადო, იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ პროკურატურაში საკაკაშვილის კადრები, პროკურორები, გამომძიებლები ჯერ კიდევ მუშაობენ, რომლებსაც გარკვეული დანაშაულები აქვთ ჩადენილი. ამიტომ თავიანთ თავს ხომ არ დაადანაშაულებენ? ეს გამოჩნდა ბოლოდროინდელი გახმაურებული საქმეების გამოძიებაშიც.

– რაც ბოლო დროს მოხდა, ეს კატეგორია დანაშაულებისა სულ სხვა თემაა. თუმცა, იმასაც არ გამოვრიცხავ, ძველი კადრების მხრიდან გარკვეული დაინტერესება იყოს. ძველი კადრები ნამდვილად მუშაობენ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ახალი პროკურორი ამ საქმეებს წამოსწევს და საქმეების მიჩქმალვის თემასაც მიადგება, როცა ამის გამო დანაშაულებიც სრულყოფილად არ იყო გამოძიებული.

– შალვა თადუმაძესთან გასაუბრების დროს რა გამოიკვეთა, მისი მთავარი პროკურორობის პირობებში პროკურატურის სისტემაში რეორგანიზაციის ჩატარებასა და ახალი კადრების მიღებას აპირებს?

– დარწმუნებული ვარ, ამას გააკეთებს, რადგან საკმარისი კადრები არ არის, არ ჰყავთ საკმარისი პროკურორები, გამომძიებლები. სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული საგანგებო დეპარტამენტის სტრუქტურა. ამ თვალსაზრისით მთავარი პროკურორი ცვლილებებს მოახდენს.

ყოველ შემთხვევაში, ბატონი შალვა სამართლებრივ საკითხებში კარგად არის გარკვეული. მე მას ვიცნობ, ურ|თიერთობაც მქონია, კვალიფიციური სპეციალისტია. ტყუილად უგონებენ, თითქოს ის იურისტი არ არის. შალვა თადუმაძეს იურისტის დიპლომი აქვს. ამავე დროს, ის გამოცდილი ადამიანია, რომელიც ადამიანებს უწევდა იურიდიულ მომსახურებას, დარწმუნებული ვარ – კვალიფიციურადაც. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა არ იქნება. სხვა საკითხია, არსებული რესურსებით რამდენად გასწვდება. ვფიქრობ, კადრების გადახალისება მოხდება.

– შეცდომა ხომ არ იყო, 2013 წელს ახალი პროკურორი რომ დაინიშნა კბილაშვილის სახით და ბევრი არაფერი შეცვალა საკაკაშვილის პროკურატურაში? თუ ახლაც არაფერი შეიცვალა, ძალიან ცუდი იქნება.

– კბილაშვილს ახალი სათადარიგო კადრები რომ არ ჰყავდა, ამიტომ პროკურატურიდან მთელი კადრების უცებ გაშვება უწყების პარალიზებას გამოიწვევდა.

– კონკურსის გამოცხადება და კადრების თანდათანობით შეცვლა არ შეიძლებოდა? ექვსი წელი გავიდა, ახლაც ადამიანებს რუსთაველზე გამოსვლა უწევთ, საქმეებს ნორმალურად არ იძიებენო.

– კონკურსის გამოცხადება და შეცვლა შეიძლება, მაგრამ ძველი კადრი რომ დაინახავს, სახლში უშვებენ, საქმეების გაფუჭებას შეეცდება და გარკვეულ დივერსიულ ქმედებებს ჩაიდენს. მაშინ მყისიერად უნდა გაეთავისუფლებინათ ყველა და მერე გამოეცხადებინათ კონკურსი, რომ ვერ მოესწროთ დანაშაულის ჩადენა და საქმეების გაფუჭება. სათქმელად ადვილია, მაგრამ ძნელი გადასაწყვეტი საკითხია.

– რა ფორმით მოხდებოდა პროკურატურის გაწმენდა დამნაშავე ელემენტებისაგან, ეს უკვე ტექნიკური საკითხია.

– პროკურატურის წმენდა თანდათანობით უნდა მომხდარიყო. კბილაშვილს, მგონი, ერთი წელიც არ უმუშავია.

– მხოლოდ კბილაშვილზე არ არის საუბარი, შემდეგ ხომ იყვნენ კიდევ მთავარი პროკურორები?

– დიახ, კადრები მომდევნო პროკურორს უნდა შეეცვალა, მაგრამ არ შეცვალა და საქმეებიც დარჩა გამოუძიებელი.

– თქვენ თქვით, მთავარ პროკურორს თავიდანვე რეორგანიზაცია რომ გამოეცხადებინა, პროკურორები თუ გამომძიებლები საქმეებს გააფუჭებდნენო. დააკვირდით, ყველა გახმაურებული და მძიმე საქმე გაფუჭებული არ არის? იმ საქმეების გამოძიება, რომლებზეც ნაციონალები ყვირიან, გაფუჭებულია, იგივე რაფალიანცის საქმე ხომ გააფუჭეს ნაციონალებმა ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო პერიოდში. ყველა მტკიცებულება გააქრეს. ახლა კი ამ ხელისუფლებას ეკითხებიან, რატომ არ იძიებთო. თუ ასე არ არის, ახლა რატომ არ იძიებენ?

– ჩვენ ახლა ერთი საქმის გაფუჭებაზე ვსაუბრობთ. წარმოიდგინეთ, მასობრივად რომ გაფუჭებულიყო საქმეები, რომლებიც სამართალდამცავ სისტემაშია, როცა ადამიანს ეუბნები, სხვა ჩაგანაცვლებსო, ყველაფერს გააკეთებს დანაშაულის ჩასაფარცხად. მე ახლა თეორიულად ვლაპარაკობ, მაგრამ სამართალდამცავ სისტემაში სწრაფი და რადიკალური ცვლილებები რეალურადაც ძნელი განსახორციელებელია.

აკაკი ასათიანი: „ოცნება“ ჯოგია, რომელსაც ივანიშვილი უნიჭოდ მწყემსავს“

„კვირიკაშვილს სულ რომ აეყვავებინა საქართველო, ივანიშვილი მას მაინც გაუშვებდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" ჟითხვებს ქვეყანაში განვითარებული ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების შესახებ ტრადიციონალისტი პატარა ასათიანი პასუხობს.

– ბატონო აკაკი, ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური თემა საპრეზიდენტო არჩევნებია. 10-მა პარტიამ გრიგოლ ვაშაძე დაასახელა. რას იტყვით?

– ეს 10 პარტია ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული პარტიებია და მის გარშემო შემოიკრიბა. ერთადერთი უცხო და ახალი სახე არის მურმან დუმბაძე. ამაში ცუდი არაფერია. უკეთესია, თუ ყველა დაჯგუფდება ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ეს მისასალმებელი იქნება.

– მათ შანსებზე რას იტყვით?

– გრიგოლ ვაშაძეა მათი საპრეზიდენტო კანდიდატი. თავისთავად დადებითი პიროვნებაა, მაგრამ შანსების თვალსაზრისით დიდ პერსპექტივას ვერ ვხედავ.

– „ოცნების“ ფონზე?

– გააჩნია, „ოცნება“ ვის დაასახელებს. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა დღეს „ოცნებაში“ კომიკური სიტუაციაა.

– რატომ არის კომიკური სიტუაცია?

– კომიკურია, აბა, რა არის? ეს აღარც ხელისუფლებაა, აღარც პარტიაა. სრული ქაოსია. რისთვის გაუშვეს გიორგი კვირიკაშვილი? კომიკური იყო მათი განცხადებები, ეკონომიკური პრობლემების გამოო და ორ დღეში გამოდის ახალი პრემიერი ბახტაძე და აცხადებს, ორი პროცენტით მატება გვაქვს ეკონომიკაში და ეს ჩვენი მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგიაო. რომელი მისი მთავრობის? ორი დღის დანიშნული იყო! კვირიკაშვილს ჰქონდა ეკონომიკური პოლიტიკა. პრინციპში, მას სხვა პოლიტიკა არც ჰქონია.

– ანუ?

– ეს მისი შეცდომა იყო. ის ასეთი ტიპის ადამიანია, რომელიც პოლიტიკას ნაკლებად ეტანება. ამ დროს კი პოლიტიკური ფიგურა იყო და თანაც – პირველი პირი. მან ვერ მოირგო ეს როლი. ეკონომიკურ პოლიტიკას რაც შეეხება, რასაც ის ახორციელებდა, ჩვეულებრივი, ძველი, სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის პრინციპებზე აგებული პოლიტიკაა და უსათუოდ მოიტანდა შედეგს. ზრდის ტენდენცია მართლაც იყო, მაგრამ რეალური შედეგები იქნებოდა 10-15 წლის შემდეგ. მას შეეძლო, ხალხისთვის ცოტა შეღავათის მიმცემი ნაბიჯებიც გადაედგა. გადადგა კიდეც, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. კვირიკაშვილს სულ რომ აეყვავებინა საქართველო, ივანიშვილი მას მაინც გაუშვებდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კვირიკაშვილი შედარებით თავის ჭკუაზე იყო. არ იყო მისი ხელის ბიჭი.

– არ ემორჩილებოდა ივანიშვილს?

– ღარიბაშვილივით მთლად ხელის ბიჭი არ იყო. კვირიკაშვილი უფრო სხვა დონის ფიგურა იყო. მე კარგად ვიცნობ მას და წესიერი კაცია ბევრი თვალსაზრისით. ის ბიძინას ხელის ბიჭად, უბრალოდ, ვერ იქცეოდა. ეს ძალიან გაუჭირდებოდა.

– ანაკლიის პორტი და მამუკა ხაზარაძესთან ახლო ურთიერთობები არ აპატია ივანიშვილმა.

– მე არ ვიცი ეს დეტალები, რა პირადი ფინანსური თუ სხვა სახის ინტერესები იყო მათ შორის. ანაკლია რომ საჭიროა, ფაქტია. მაშინ სახელმწიფოს გამოესყიდა ეს მიწები და ის ყოფილიყო მხარე ამ ინვესტორებთან მიმართებით. თუ სახელმწიფო გამოისყიდის და მერე კერძოს გადაეცემა, ეს ყოველთვის ეჭვს გამოიწვევს. ღრმად ამ თემას ვერ ჩავეძიები. ვიმეორებ, სულ რომ აეყვავებინა კვირიკაშვილს ყველაფერი, მას მაინც გაუშვებდნენ. ის ეძებს მონებსა და ყურმოჭრილ ყმებს და კვირიკაშვილი ასეთი არ იყო.

– ახალი მთავრობა ასეთია?

– ასეთია, რა თქმა უნდა, აბა, რა არის. თან როგორი აცაბაცა მთავრობაა. ერთი ერთს იძახის, მეორე – მეორეს. მერე ის რუსეთიდან ჩამოსული კაცი როდის გაერკვევა, რომ აქ სულ სხვა ტიპის ეკონომიკაა, იქ – სულ სხვა ტიპის. იქ გაზსა და ნავთობზე დგას, როგორც ასეთი, ეკონომიკა არ არის. ჩვენთან საერთოდ სულ სხვა სამყაროა. ჯერ არ გვაქვს მთლად ნორმალური ეკონომიკა, ბევრი რამ შესაქმნელია. როდის და რამდენად გაერკვევა ამაში, არ ვიცი.

ფინანსთა მინისტრისგან საერთოდ ვერაფერი გავიგე, ზედმეტად თავშეკავებული იყო. განათლების მინისტრი, როგორც მისი წინამორბედები, მთავარ პრობლემაზე არ ლაპარაკობს.

– რა არის მთავარი პრობლემა?

– ცოდნის დონე იკლებს კატასტროფულად, ესენი კი რაღაცა სტრუქტურულ ცვლილებებზე ლაპარაკობენ. რეალობას მთლიანად მოწყვეტილები არიან, თან გააერთიანეს კულტურასთან. ეს საერთოდ სასწაულია.

– საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრით დავიწყეთ და, როდესაც სახელისუფლებო კანდიდატს განიხილავენ, ამბობენ, რომ ამ კუთხით ძალიან უჭირს „ოცნებას“.

– მართლაც ძალიან უჭირს. უარს ეუბნებიან. მარტო თავის წრეში კი არა, გარეთაც ეძებენ კანდიდატებს, მაგრამ ვერავინ დაითანხმეს. დავით მაღრაძეს შესთავაზეს და უარი მიიღეს. ის ძალიან კარგი კაცია, დამოუკიდებელი ადამიანია და ასე სათამაშოდ თავს არ გადაიქცევდა. ასევე შესთავაზეს ლადო ჭანტურიას, ისიც სერიოზული პიროვნებაა, საკმაოდ სერიოზული თანამდებობა უკავია და მისგანაც უარი მიიღეს. რას იზამენ, მართლა არ ვიცი.

– გამოუვალ სიტუაციაში არიან?

– ერთადერთი გამოსავალია, ივანიშვილმა საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს.

– სხვა შანსი არ აქვს „ოცნებას“?

– ეს არის გამოსავალი „ოცნებისთვის“ და თავად ივანიშვილისთვისაც. მას ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება ძალიან მალე. უკვე აქვს ეს პრობლემები, თავადვე გრძნობს, ამიტომაც დაბრუნდა პარტიის თავმჯდომარედ და ეს კვირიკაშვილის გადაყენება და მთავრობის ცვლილებები მას ჰგონია, რომ კიდევ ერთხელ ააშორებს პასუხისმგებლობას.

მისი შეცდომა სწორედ ეგ იყო. მას ეგონა, რომ გაიწეოდა გვერდზე და ისე მართავდა, ვითომ თვითონ არ მართავდა. ეგონა, რომ ვერავინ ამას ვერ მიხვდებოდა. რატომ ეგონა ასე, არ ვიცი, ეს ერთგვარი პრიმიტივიზმის ნიშანია. ძალიან სერიოზული პრობლემები ექნება, ამიტომ მინიმალური გამოსავალი იქნება მისთვის და იმავე მისი პარტიისთვის, თუ ამას საერთოდ პარტია ჰქვია.

– აბა, რა ჰქვია?

– ქართუ ჯგუფიც კი აღარ არის, აღარც შპს-ა, აღარაფერი აღარ არის. რაღაცა ჯოგია, რა! ეს კაცი კი მწყემსავს უნიჭოდ. აი, ეს არის მთელი ეს ამბავი. ერთადერთი მცირე შანსი რჩება, რომ თავად გამოჩნდეს საჯაროდ. გასაგებია, რომ უჭირს ეს საჯარო პოლიტიკა, ჟურნალისტების კითხვებზე კრუნჩხვები ემართება. ერთი კარგი თვისება აქვს, რომ არ დევნის და ადამიანებს ფიზიკურად არაფერს უშავებს, ეს ნამდვილად დადებითი თვისებაა, მაგრამ ეს ქვეყნის სამართავად, სახელმწიფოს მშენებლობისთვის არ გამოადგება.

ეს არის გამოსავალი, თავად იყოს პრეზიდენტი. ნებისმიერი სხვა კანდიდატი იქნება აღიარება, რომ დამთავრდნენ საბოლოოდ. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა განიხილება აქტიურად.

– ეს არ გაამართლებს?

– მე ძალიან სიმპათიით ვუყურებ ამ ქალს და მხარსაც კი დავუჭერდი, თუ „ოცნებისგან“ არ იქნებოდა. ის ცუდი პრეზიდენტი ნამდვილად არ იქნებოდა. უბრალოდ, „ოცნებისგან“ იქნებოდა აღიარებითი ჩვენება, რომ მათგან აღარაფერი დარჩა, დამთავრდა, რომ არ არსებობენ! ვართ რაღაცა ჯგუფი, რომელიც არის მისეული ბაგას და იკვებება სახელმწიფოს ხარჯზე. ისედაც რა მდგომარეობაა და კიდევ ბერავენ აპარატს.

– რატომ, ხომ გააერთიანეს სამინისტროები?

– სასაცილოა. სამინისტრო გააუქმეს და რაღაც ახალ გაუგებრობას ქმნიან. სუბარი რომელი ვარსკვლავი გამიხდა, რომ პრემიერის მრჩევლად დანიშნეს, რაღაცა უწყებას უქმნიან, ყოვლად კრეტინულს!

„ოცნება“ უკვე დასრულებულია, უბრალოდ, ჩემი სურვილია, რომ 2020-ში ეს გადაბარება მშვიდად მოხდეს. კარგად უნდა დაიმახსოვრონ, ჩვენ არაფერი დაგვაკლდება, მათთვისვე იქნება უარესი. თუ არ იქნება მშვიდობიანი გადაბარება, წავლენ ციხეებში! ქვეყანას დაუშავდებაო, რომ გვაშინებენ, ქვეყანას არაფერი არ დაუშავდება, დაუშავდებათ მათ. ჯერ კიდევ აქვთ შანსი, მშვიდობიანად წავიდნენ, თუ არადა, მოუწევთ ციხეებში წასვლა!

ლევან ჩაჩუა: „სამუშაო ადგილებზე რომ ხალხი იხოცება, ესეც ხელისუფლების ბრალია“

„უცხოეთში ახიან ძაღიან მდიდარი ქართველები, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ მოყვასს მცირე თანხითაც არ შეეწევიან. ასეთები საქართველოში არ უნდა დაასაფლავონ"

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას

– ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს აბრალებენ იმას, რომ სამუშაო ადგილებზე, მათ შორის, შახტებში, ისევ გვეხოცებიან ადამიანები.

– ესმით, რომ ამაში ბრალი მიუძღვით და ცდილობენ, მთავარი დამნაშავე იპოვონ. პარლამენტის წევრები რომ ხელს სხვისკენ იშვერენ, თვითონ რა გააკეთეს იმისათვის, რომ ადამიანები აღარ იღუპებოდნენ სამუშაოზე? კარგი კანონები მიიღეს და მეშახტეები თავისით იხოცებიან? 21-ე საუკუნეში ასეთი განუკითხაობა დაუჯერებელია. ადამიანები ისედაც მძიმე პირობებში დაბალ ანაზღაურებაზე მუშაობენ. ყველაზე საშინელი ისაა, რომ მათი სიცოცხლე დაზღვეული არაა. ქვეყანა მთლიანად მიშვებულია. მივექანებით უფსკრულისაკენ და როდის გადავიჩეხებით, კაცმა არ იცის.

– გამოსავალი არსებობს?

– სანამ ქვეყნის სათავეში მოვა ადამიანზე ორიენტირებული ხელისუფლება, საზოგადოებამ უნდა იაქტიუროს. ხალხის მხრიდან ხელისუფლებაზე ზეწოლის გარეშე აბსოლუტურად არაფერი შეიცვლება და ახლანდელი მმართველები ისევ იმაზე იქნებიან გადართული, როგორ იშოვონ მეტი ფული, აიღონ მაღალი ხელფასი და დანამატი.

– ადამიანზე ორიენტირებულობა დამტკიცებამდე რამდენჯერმე ახსენა პრემიერმა მამუკა ბახტაძემ..

– შეიძლება, მას ცუდის გაკეთება არ უნდა, მაგრამ მეეჭვება, ამ ქვეყანაში რამე უკეთესობისაკენ შეცვალოს. ქვეყანა შუშის სასახლიდან იმართება, შუშის სასახლეს კი გარედან განკარგავენ. კარგი განცხადებები ჰქონდათ თავის დროზე თვითონ ივანიშვილს, ღარიბაშვილსა და კვირიკაშვილს. ივანიშვილის დაპირებები, რომელსაც სხვებიც აჟღერებდნენ, მიმზიდველი იყო. არც ერთი მათგანი რომ არ შესრულდა, ამის გამო ხალხი გამწარებულია. ეს მმართველებმა კარგად იციან. ამიტომ საზოგადოებისთვის თავის მოქონვა ახალი ფრაზებით უნდათ. ერთი ჯგუფის გარდა, საქართველოში ყველა ცუდად გრძნობს თავს. გაჭირვებული ხალხი იქამდე მივიდა, რომ ნაგვის ურნები გადაინაწილა.

– რას ნიშნავს „ნაგვის ურნები გადაინაწილა“?

– ნაგვის ურნები განაწილებულია. ერთი უბნის ხალხი „თავის“ ურნებთან არ უშვებს სხვა უბნებიდან მოსულებს. თბილისში დავიბადე და გავიზარდე და ხელგამოწვდილი ქართველი არ მინახავს. დღეს ქართველები ნაგავში იქექებიან. არ მესმის, ამ დროს როგორ სძინავთ ხელისუფლების წარმომადგენლებს?!

– ავარიების შედეგად გზებზეც უამრავი ადამიანი გველუპება. არც ამ სფეროშია შესაბამისი კანონმდებლობა?

– რა თქმა უნდა. ესეც შესაცვლელია. ის მაინც არის კარგი, რომ ტექდათვალიერება უნდა აღადგინონ. ჩვენი ადამიანი ყველანაირად დაუცველია. ბოლო დროს დაუცველობა იკვეთება კრიმინალის სფეროშიც. საზოგადოებაში აგრესიაა დაბუდებული და აქა-იქ იფეთქებს ხოლმე. ბოლო დროს შემხვედრია სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებიც ოპერაციას ვერ უკეთებენ ახლობელს და უფულობის გამო ვერ მკურნალობენ.

– საყოველთაო ჯანდაცვა ახლაც რჩება „ქართული ოცნების“ საამაყო თემად..

– ეგ საყოველთაო ჯანდაცვა დიდი ხანია გადაიზარდა ძვირადღირებულ მომსახურებაში. კლინიკაში ფეხს რომ შედგამ, ფულს გთხოვენ. აღარაფერს ვამბობ მედიკამენტების ფასზე. წამლების, ისევე, როგორც ნავთობის ტარიფები, საქართველოში კარტელური გარიგებებით დგინდება. სამუშაო ადგილებზე რომ ხალხი იხოცება, ესეც ხელისუფლების ბრალია, ისევე, როგორც წამლებისა და ნავთობის ფასები, ასევე ვალუტის კურსის მერყეობა.

– ადრე ნავთობისა და წამლების ფასების დადგენას „ოცნება“ ნაცმოძრაობას აბრალებდა.

– ახლა ეს ნაცქოცური გარიგების შედეგია. ლარის კურსი დოლართან ხელოვნურად „თამაშობს“. ამაზე ერთი ისედაც მდიდარი ჯგუფი ხელს ითბობს, ხალხი კი ღატაკდება. ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა ფიქტიურია, იმიტომ, რომ მას წლების განმავლობაში არაფერი გამოუვლენია და გამოუსწორებია. უმძიმესია როგორც ქვეყანაში დარჩენილების, ისე უცხოეთში წასული თანამემამულეების უმრავლესობის მდგომარეობა. ისინი საშოვარზე წავიდნენ და აქაურებს ასულდგმულებენ. გაეროს მონაცემებით, 20 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა განახევრდება. დემოგრაფიული კატასტროფა ქართველებს უკვე შეგვეხო. სამაგიეროდ, უცხოელებს უპრობლემოდ აძლევენ ბინადრობის უფლებას და მოქალაქეობას. ქართველები საქართველოში ყველაზე ცუდ პირობებში არიან.

– ერთი გამდიდრებული ჯგუფი რომ ახსენეთ. მასში ქართველები ხომ არიან?

– ამათში ბევრია გვარგადაკეთებული. ჩვენში მიღებულია ერთმანეთის დახმარება. როგორ უნდა იცხოვრო მუდმივად განცხრომაში, როცა შენს გვერდით ადამიანი შიმშილით და მკურნალობის გარეშე იღუპება!

– არიან მდიდარი ბიზნესმენები, მათ შორის, ქართველები, რომლებიც მშიერი ადამიანისთვის ლარს არ გაიმეტებენ..

– მეც ვიტყვი ასეთ ქართველებზე. მდიდრები საზღვარგარეთაც ცხოვრობენ. აქაურმა ახლობელმა რომ სთხოვოს ათასი დოლარი ოპერაციისთვის, უპასუხებენ, თავისუფალი ფული არ გამაჩნიაო. ისინი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ მოყვასს მცირე თანხითაც არ შეეწევიან იმ დროს, როცა მეძავისთვის სახლ-კარს და მანქანას ყიდულობენ. თან, ანდერძად ტოვებენ, საქართველოში დასაფლავების თხოვნას. ასეთები საქართველოში არ უნდა დაასაფლავონ. წმინდა მიწა ლეშების ადგილსამყოფელი არ არის. ასეთი ვაიქართველები ყველაზე არაერთგვნულები და ძუნწები არიან მსოფლიოში. ერთმანეთს ეხმარებიან და გვერდში უდგანან სომხები, ებრაელები. ირლანდიამ მსოფლიოში გაფანტული ირლანდიელების დახმარებით ააყვავა ეკონომიკა. დღეს ევროპაში დემოგრაფიული მატება მარტო ირლანდიელებში შეინიშნება.

ბიუროკრატია ადამიანების სამსახურიდან გაშვების გარეშე ვერ შემცირდება

ფინანსისტი ირაკლი ერაძე მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ დაანონსებული მცირე მთავრობის კონცეფცია და ბიუროკრატიის შემცირება ადამიანების სამსახურიდან გაშვების გარეშე ვერ განხორციელდება.

როგორც ერაძემ გადაცემა საქმიანი დილაში განაცხადა, თავად სიტყვა მცირე მთავრობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანების შემცირება მოუწევთ.

– მაგრამ ვფიქრობ, რომ ამას საარჩევნო წელს მოერიდებიან და ეს მხოლოდ მომავალ წელს მოხდება, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუკი მცირე მთავრობის" კონცეფციის განვითარება ნამდვილად გადაწყვიტა ხელისუფლებამ და მხოლოდ 4 სამინისტროს გაუქმებით არ შემოიფარგლა, – განაცხადა ერაძემ.

ბმ.გე

ივნისში საარსებო მინიმუმი 4.8 ლარით შემცირდა

მიმდინარე წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 4.8 ლარით შემცირდა. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ივნისში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 173 ლარს შეადგენდა, მაშინ როცა მაისში ეს მაჩვენებელი 177.8 ლარი იყო.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი საარსებო მინიმუმი 1.3 ლარით შემცირდა.

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 153 ლარი და 20 თეთრია. წლის დასაწყისიდან მოყოლებული საარსებო მინიმუმი ყოველთვიურად იზრდებოდა. იანვარში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 155 ლარი იყო, მაისში 157 ლარი 50 თეთრი.

საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 290 ლარია.

კომერსანტი

„საქართველო უახლოეს წლებში ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ლიდერი იქნება"

– საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პროგნოზის მიხედვით, საქართველო უახლოეს წლებში იქნება ლიდერი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველო-იტალიის ბიზნესფორუმზე განაცხადა.

მისი თქმით, გასულ წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა იყო 5 პროცენტი, წელს კი ამ ციფრის კიდევ უფრო გაუმჯობესებაა მოსალოდნელი.

– ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ახორციელებს სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას. ჩვენი ამოცანაა, რომ ჩვენი ეკონომიკის ინტეგრირება უფრო მეტად მოხდეს გლობალურ ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, საქართველო იცავს და ყოველთვის დაიცავს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, – განაცხადა ბახტაძემ.

მანვე ისაუბრა საკრედიტო რეიტინგების დინამიკაზე. მისი თქმით, „მუდისმა" შარშან შემოდგომაზე გააუმჯობესა რეიტინგი.

– დარჩენილი ორი საკრედიტო სააგენტო ძალიან პოზიტიურად აფასებს ჩვენს მიერ განხორციელებულ რეფორმებს. პარლამენტში წარდგენილი პროგრამის მიხედვით, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ამოცანა იქნება საქართველოს საკრედიტო რეიტინგის კიდევ უფრო გაუმჯობესება. ინვესტორებისთვის საქართველო გახდება კიდევ უფრო მიმზიდველი ქვეყანა, – განაცხადა ბახტაძემ.

მისივე თქმით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით შარშან დაფიქსირდა ისტორიული შედეგი.

– ძალიან გვიხარია, რომ ამ მოზიდულ ინვესტიციებში იტალიური კომპანიების წვლილი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასევე, მნიშვნელოვნად იზრდება იმ ნომენკლატურის ჩამონათვალი, რომელიც ჩვენ სავაჭრო ბრუნვაში გვიფიქსირდება, როგორც ევროკავშირთან, ასევე იტალიასთან, რაც ძალიან ნათლად მიუთითებს, რომ ჩვენ არ

ვართ ჩამოკიდებული რომელიმე ერთ სასაქონლო ჯგუფზე ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში, რაც ძალიან კარგი სიგნალია და შემდგომ სავაჭრო დივერსიფიკაციას ხელს შევუწყობთ, – აღნიშნა ბახტაძემ.

კომერსანტი

პრეზიდენტმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატად თორნიკე რიჟვაძე წარადგინა

გიორგი მარგველაშვილმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურა დაასახელა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა.

კანდიდატურის დასახელებამდე გიორგი მარგველაშვილმა აჭარის უმაღლეს საბჭოში კონსულტაციები გამართა.

– ერთი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი ქართული ოცნების მიერ, რომელიც არის ბატონი თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურა. ოპოზიციას, მე გამოვხატე ეს გაკვირვებაც, არ წარმოუდგენია ჩემთვის ალტერნატიული კანდიდატურა, თუმცა შემდეგ ოპოზიცია ჩამოყალიბდა ბატონ არმაზ ახვლედიანის კანდიდატურაზე. ბატონ თორნიკე რიჟვაძეს წარმოადგენს პარტია, რომლის უმრავლესობას ფლობს აჭარის უმაღლეს საბჭოში. მის წარდგენას გააჩნია თავისი ლოგიკა და მე ავარჩიე ბატონი თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურა, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ქართული ოცნების მიერ დასახელებული იყო თორნიკე რიჟვაძის, ექვსი პოლიტიკური პარტიის მიერ – არმაზ ახვლედიანისა და სახალხო-საზოგადოებრივი მოძრაობის მიერ – გოჩა გუგუნავას კანდიდატურები.

ბპნ

რას გულისხმობს 2.500 ლარს ზემოთ შემოსავლების 30%-ით დაბეგვრა



2.500 ლარის ზემოთ შემოსავალი 30%-ით უნდა დაიბეგროს – აღნიშნული ინიციატივა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნით.

– განაკვეთები, რომლებზეც ვსაუბრობთ, არის პირობითი და აქ მთავარია ე.წ. პროგრესული დაბეგვრის პრინციპი, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანაშია დამკვიდრებული. ჩვენ 2.500 ლარი პირობითად ავიღეთ, თუმცა, რადგან ეს ციფრი დასახელდა მასზე ვისაუბროთ. ჩვენი ინიციატივა გულისხმობს, რომ 2.500 ლარამდე საგადასახადო განაკვეთი რჩება იგივე, ანუ 20%. ამის შემდეგი შემოსავალი კი შესაძლოა, 30%-ით დაიბეგროს.

მაგალითად, თუ თქვენ გაქვთ 3.000 ლარი, მისი 30%, ანუ 900 ლარი კი არ უნდა გადაიხადოთ, არამედ 2.500 ლარიდან 20%-ის ანუ 500 ლარის, დარჩენილი 500 ლარიდან კი 30%-ის, 150 ლარის გადახდა მოგიწევთ, ნაცვლად 100 ლარისა. შესაბამისად, გამოდის, რომ თუ 3.000-ლარიანი შემოსავლის მქონე პირები დღეს 20%-იანი დაბეგვრის რეჟიმში 600 ლარს იხდიან, აღნიშნული სქემის თანახმად, მხოლოდ 50 ლარით მეტის გადახდა მოუწევთ, – განმარტა „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატების" თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანმა „კვირის" პრესკლუბში.

მისივე თქმით, ამ სისტემის დანერგვის შედეგად ცვლილებას ძირითადად მსხვილი კომპანიების, მათ შორის, ბანკების და ა.შ. ხელმძღვანელები იგრძნობენ.

ამასთან, როგორც ჟორჟოლიანმა აღნიშნა, 2.500 ლარამდე შემოსავალი საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა (ვინც ხელფასს იღებს) 91%-ს აქვს, 5%-ს – 4-5 ათას ლარამდე, ხოლო ამაზე მაღალი შემოსავალი ასევე 5%-ს აქვს. ამასთან, 1.3%-ს 8 ათას ლარზე მეტი; 0.4%-ს ანუ დაახლოებით, 3.600 ადამიანს კი თვეში 16 ათას ლარზე მეტი შემოსავალი აქვს.

– ეს სისტემა ყველა განვითარებულ ევროპულ ქვეყანაშია დამკვიდრებული. მდიდრები ისედაც უფრო მაღალ გადასახადს იხდიან საქართველოში, მაგრამ ეს სისტემა, რომელსაც ვთავაზობთ უმჯობესია, რადგან უზრუნველყოფს გათანაბრებას და იძლევა შესაძლებლობას მეტი თანხები იქნას ბიუჯეტში მობილიზებული.

იმ სქემით, რომელზეც ვსაუბრობთ, ბიუჯეტში დაახლოებით, 500 მლნ ლარის მობილიზება მოხდება, რომელიც ჩვენი აზრით ორად უნდა გაიყოს და 400 მილიონი რეგიონებში წარმოების განვითარებას; დარჩენილი 100 მილიონი კი სკოლამდელი დაწესებულებების; სკოლის პედაგოგებისა და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგების ხელფასების მომატებას უნდა მოხმარდეს. ამ ადამიანებს ხელფასი დაახლოებით, საშუალოდ 100 ლარით შეიძლება მოემატოთ, – აღნიშნა ჟორჟოლიანმა.

სათამაშო ბიზნესასოციაცია „ბლეფზე" მიდის – მისი ხელმძღვანელი ურცხვად იტყუება

სათამაშო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ ბერუაშვილი საზოგადოებაში მიმდინარე კვირას გამოჩნდა და განაცხადა, რომ აზარტული თამაშების წლიური ბრუნვა სტატისტიკური მონაცემებისგან სრულიად განსხვავებულია და ციფრებით არასწორად აპელირება ხდება.

– საუბრობენ მილიარდებზე, რაც რეალური მონაცემებისგან ბევრად განსხვავდება. ინდუსტრიის შემოსავალი 10-15-ჯერ ნაკლებია იმ ციფრებზე, რასაც ჩვენი ოპონენტები ასახელებენ, – აღნიშნა ბერუაშვილმა.

მისი განცხადებით, იმის გამო, რომ საქართველოს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრია ტექნოლოგიურად განვითარდა, სტატისტიკის წარმოება მოძველებული მეთოდოლოგიით ხდება, რაც ბიზნესის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებას უშლის ხელს. ამიტომაც სათამაშო ბიზნესასოციაციამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან გააფორმა მემორანდუმი. მხარეები ამბობენ, რომ ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სათამაშო ბიზნესის შემოსავლებისა და ბიუჯეტში გადახდილი თანხების შესახებ სწორი აზრის შექმნას.

– არსებობს ინფორმაცია, რომ სათამაშო ბიზნესის შემოსავალი და ბრუნვა თითქოს 6 მილიარდამდეა. რეალურად კი ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით, ბრუნვის მაჩვენებელი 700 მილიონიდან 800 მილიონამდე მერყეობს. მაგრამ ამას უნდა გამოაკლდეს შესაბამისი ხარჯები, რაც ამ ბიზნესისთვის ძალიან მაღალია. გასულ წელს სათამაშო ბიზნესმა გადასახადების სახით დაახლოებით 350 მილიონი ლარი გადაიხადა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის სრული ციფრი. იმდენად რამდენადაც, ბიზნესში არსებობენ არალიცენზირებული კომპანიებიც და საერთო ჯამში ჩვენი წარმოდგენით, საგადასახადო ტვირთი სათამაშო ბიზნესისთვის წლის განმავლობაში ნახევარ მილიარდამდე მერყეობს, – აღნიშნა ზურა ბერუაშვილმა.

რაც შეეხება ზოგადად აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვას, საქსტატის მიერ მონაცემებით, 2017 წელს მან 5,649 მილიარდი ლარი შეადგინა. გარდა ამისა 2018 წლის პირველ კვარტალში, საქსტატის მონაცემებით, 10 ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიას შორის 3 აზარტული თამაშების კომპანია აღმოჩნდა.

ანუ, რა გამოდის, საქსტატმა და შემოსავლების სამსახურმა ასეთი მასშტაბური ციფრები თავად მოიგონეს, თუ სათამაშო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელი ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას? ალბათ, უფრო მეორე, ვინაიდან შეუძლებელია ამხელა სხვაობა არსებობდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციასა და ასოციაციის მიერ მოყვანილ ციფრებს შორის. ზურაბ ბერუაშვილი გადასახადების ნაწილში ეთანხმება საქსტატს და აცხადებს, რომ სათამაშო ბიზნესს ნამდვილად 350 მილიონი აქვს გადახდილი ბიუჯეტში, ანუ – ბრუნვის მაჩვენებელი შეცდომა ყოფილა, ხოლო გადასახადები სწორად დაუანგარიშებიათ?

ყველაზე დიდი ტყუილი მაინც ბერუაშვილის მიერ დასახელებული ციფრებია, როგორ შეიძლება, რომ 700-800 მილიონიანი ბრუნვის ფონზე კომპანიებს 350 მილიონი, ანუ დაახლოებით 50% ბიუჯეტში ჰქონდეთ გადახდილი, მაშინ, როდესაც სათამაშო ბიზნესი ძირითადად მოსაკრებლებს იხდის და საკმაოდ ლოიალური საგადასახადო პოლიტიკით სარგებლობს. ციფრები იმდენად აბსურდულია, რომ მასზე მსჯელობაც კი არ ღირს, უბრალოდ საზოგადოების მოტყუებას და შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

როგორც ჩანს, დაინახეს რა საგანგაშო სტატისტიკა, სათამაშო ბიზნესასოციაციამ, რომელიც თავად სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებმა დააფუძნეს, გადაწყვიტა, რომ საზოგადოება მოატყუოს და საქსტატს ისეთი მეთოდოლოგია შესთავაზოს, რომლის მეშვეობითაც ციფრების მანიპულირებას შეძლებს და მიჩქმალავს იმ მძიმე რეალობას, რომელსაც აღნიშნული ბიზნესი ქმნის ქვეყანაში. ბიზნესი, რომელიც ფულის გათეთრების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ითვლება და ამ მიმართულებით არაერთხელ მოხვედრილა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში.

ამიტომაც, ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ეს ყველაფერი და უზრუნველყოს სათამაშო ბიზნესის ფინანსების სრული გამჭვირვალობა, რათა როგორც თავად, ასევე სპეციალისტებმა და საზოგადოებამ ნათლად დაინახონ თუ რა რეალობასთან გვაქვს საქმე.

BFM

აკაკი ცომაია: „როგორი უფლებებითაც არ უნდა აღჭურვოთ შრომის ინსპექცია, პრობლემას ეს ვერ მოაგვარებს"

მინდელის მაღაროში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა", რომლის შვილობილი კომპანიაცაა „საქნახშირი", სახელმწიფოს მაღაროს უსასყიდლოდ გადაცემა შესთავაზა.

ამ საკითხზე ეკონომისტმა აკაკი ცომაიამ საკუთარ Facebook გვერდზე საგულისხმო მოსაზრება გამოაქვეყნა:

1. ტყიბულის ქვანახშირის საბადო არ არის კერძო საკუთრება. სახელმწიფოსგან ლიცენზიით აქვს აღებული კერძო კომპანიას

2. ტყიბულის ქვანახშირი არ არის მომგებიანი საწარმო. თავიდანვე სოციალური პროექტი იყო ხალხის დასაქმების მიზნით. არაფერი საერთო ამ საკითხს არა აქვს ბიზნესთან. კერძო კომპანია დიდი სიამოვნებით იტყვის უარს, რომ არა ვალდებულება სახელმწიფოსთან სოციალურ პროექტზე. ამ პირობით შახტების ამუშავება იყო დიდი შეცდომა. სერიოზული ინვესტიცია არ განხორციელდება უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად.

3. როგორი უფლებებითაც არ უნდა აღჭურვოთ შრომის ინსპექცია, პრობლემას ეს ვერ მოაგვარებს. პრობლემის სათავე არის ის, რომ ადამიანს არა აქვს ალტერნატივა, არ არის სხვა სამუშაო.

4. სამუშაო ობიექტზე მომხდარ უბედურ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამსაქმებელს. სასამართლო/არბიტრაჟი სოლიდური კომპენსაციის გადახდას დააკისრებდა დამსაქმებელს დაზარალებულის სასარგებლოდ, მაგრამ ამ ქვეყანაში არ არსებობს სამართალი.

კომერსანტი

„ლადო გრიგალაშვილმა ნანგრევებისკენ, სადაც ანა ნაცვლიშვილის მკვლელობა მოხდა, შეშინებულმა გაიხედა“

ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეზე მოწმე ნიკა ქიტუაშვილი დაკითხეს

– პოლიციაში მითხრეს, ანა ნაცვლიშვილი შენი ძმაკაცის მოკლულიაო. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ იმდენი ფაქტი მომიყვანეს, ამის დაჯერება რთული აღარ იყო.

ამის შესახებ თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეზე მოწმის სახით დაკითხვისას ბრალდებულის მეგობარმა ნიკა ქიტუაშვილმა განაცხადა.

ქიტუაშვილმა მკვლელობის დღეს განვითარებული მოვლენები გაიხსენა და აღწერა, თუ სად და როგორ ეძებდა ბრალდებულთან ერთად სახლიდან გაუჩინარებულ ნაცვლიშვილს.

– 2018 წლის 22 თებერვალს დილით 06:20 საათზე დამირეკა ლადომ და მთხოვა, ანა ნაცვლიშვილის კორპუსთან ჩავსულიყავი. რატომ მეთქი, ვკითხე და მიპასუხა, ანა დაიკარგაო. ორი მანქანით ავედით ანას სახლთან. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ მაინც და მაინც მე მიმითითა, იქ ჩავსულიყავი, სადაც, როგორც მერე აღმოჩნდა, ცხედარი იყო. იქ დათო ალექსიძესთან ერთად ჩავედით, ფარეხთან დაცვის პოლიცია იდგა, იქ ვიკითხეთ, ღამის 4 საათიდან ჩემი სიმაღლის გოგოს ხომ არ გამოუვლია და მიპასუხეს, რომ არავინ უნახავთ. ამის შემდეგ ისევ ანას სახლთან ავბრუნდი. ანას მამის ჩამოსვლის შემდეგ ზეემკაზე ანას მეგობართან წავედით, – განაცხადა ნიკა ქიტუაშვილმა.

მისივე თქმით, როდესაც ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილთან ერთად იმ ტერიტორიას ჩაუარა მანქანით, სადაც ანა ნაცვლიშვილის ცხედარი იყო, ბრალდებულის სახეზე გარკვეული აფორიაქება შენიშნა.

– ლადომ ნანგრევებისკენ, სადაც მკვლელობა მოხდა, შეშინებულმა გაიხედა. ვკითხე კიდეც, რა მოხდა-მეთქი, მიპასუხა არაფერი, ვიღაც კაცი დავინახეო, – აღნიშნა მოწმემ.

ნიკა ქიტუაშვილის ინფორმაციით, ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია პოლიციელებისგან შეიტყო.

– პოლიციაში გვითხრეს, რომ ანა ნაცვლიშვილი ყელგამოჭრილი ნახეს. ალბათ, ერთ საათში პოლიციის განყოფილებაში როცა გადამიყვანეს, იქ მითხრეს, შენი ძმაკაცის მოკლულიაო. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ იმდენი ფაქტი მომიყვანეს, რომ ამის დაჯერება რთული აღარ იყო, – განაცხადა ქიტუაშვილმა.

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილი 22 თებერვალს მოკლეს. მას ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული და ასევე დაზიანებები აღენიშნებოდა თავის არეში.

პოლიციამ ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით მისი შეყვარებული, ლადო გრიგალაშვილი, მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

ადვოკატი: „შოაიფ ბორზიევი ტერაქტის მომზადებას კატეგორიულად უარყოფს“

ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის შოაიფ ბორზიევის ადვოკატის ინფორმაციით, ბრალდებული ამ დრომდე დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა საბოლოო სიტყვით ისარგებლებს და სასამართლოს ბრალდებასთან დაკავშირებით განმარტებებს მისცემს. როგორც ბორზიევის ადვოკატმა გია ტაბლიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ტერორიზმის ნაწილში წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

– შოაიფ ბორზიევი თავს დამნაშავედ არ ცნობს წარდგენილ ბრალში. მოგეხსენებათ მას ბრალი ტერორიზმის დახმარების მუხლით აქვს წაყენებული. ის ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებაში, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარებაში. ჩვენ სწორედ ამ მოტივით არ მივეცით სასამართლოს ჩვენება, თუმცა საბოლოო სიტყვაში ის კონკრეტულ განმარტებებს გააკეთებს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

ის კატეგორიულად უარყოფს ტერორისტული აქტის მომზადებას ან ტერორისტული აქტის ჩადენაში მონაწილეობას. ის საქართველოში სხვა მიზნით იმყოფებოდა, აბსოლუტურად კანონიერად და არანაირი დანაშაულებრივი განზრახვები არ ჰქონია. იარაღის ნაწილში კონკრეტულ მიზანს, თუ რატომ ატარებდა, გააჟღერებს საბოლოო სიტყვაში, – განაცხადა გია ტაბლიაშვილმა.

სუს-მა ანტიტერორისტული ოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსისა და პანკისის ხეობაში 2017 წლის 21-22 ნოემბერსა და 26 დეკემბერს ჩაატარა.

ჩატარებული ოპერაციის შედეგად გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ლიკვიდირებულია ახმედ ჩატაევის დაჯგუფების ორი წევრი, თავად ჩატაევმა კი თავი აიფეთქა. სპეცოპერაციის ჩატარებამდე სამართალდამცველებმა დაჯგუფების ერთი წევრი შოაიფ ბორზიევი დააკავეს. მას ბრალად ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა ედება.

სპეცოპერაცია ფონიჭალასა და ყარაჯალაში

დაკავებულია 7 ნარკორეალიზატორი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ ბრიფინგი გამართა.

როგორც ჭელიძემ აღნიშნა, ფონიჭალასა და ყარაჯალაში 7 ნარკორეალიზატორები დააკავეს.

– შინაგან საქმეთა სამინისტრო ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აგრძელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 13-16 ივლისს, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში და გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალაში ჩატარებული მასშტაბური ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენის, შენახვისა და გასაღების ბრალდებით 7 პირი დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წელს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება 1983 წელს დაბადებული გ.მ-ს, 1983 წელს დაბადებული კ.რ-ს, 1952 წელს დაბადებული გ.რ-ს, 1995 წელს დაბადებული თ.ნ-ს, 1983 წელს დაბადებული შ.ხ-ს, 1977 წელს დაბადებული რ.ი-ს და 1966 წელს დაბადებული თ.ა-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე.

გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა აღნიშნული პირებისგან სხვადასხვა დროს გაცემული სასამართლო განჩინებების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული ვიდეოაუდიო ჩაწერა.

დაკავებულთა საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა 18 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2 პისტოლეტი, სანადირო თოფი, 2 ცალი „ინსულინის“ შპრიცი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი სითხით, მინის ფლაკონი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ ნალექით, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატი „სუბოტექსი“, 10 010 ლარი, 26 200 აშშ დოლარი და 65.000 რუსული რუბლი ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით, მე-5 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, – განაცხადა ჭელიძემ.

საგამოძიებო კომისიის წევრებმა მერაბ მორჩაძე გამოკითხეს

საგამოძიებო კომისიის წევრებმა ხორავას ქუჩის საქმეზე მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით დაკავებული მერაბ მორჩაძის გამოკითხვა დაასრულეს.

კომისიის თავმჯდომარეს სერგი კაპანაძეს ჟურნალისტებთან დეტალებზე არ უსაუბრია, თუმცა განაცხადა, რომ კითხვების შესაბამისი გარკვეული ინფორმაცია მიიღო.

– ჩვენ გვქონდა შეხვედრა ერთ-ერთ ბრალდებულთან, რომელსაც ბრალი აქვს წაყენებული მოწმეზე გავლენის მოხდენის გამო. მივიღეთ ინფორმაცია ჩვენი კითხვების შესაბამისად. ეს ერთ-ერთი ეპიზოდი არის უბრალოდ ამ საქმის და გავაგრძელებთ ჩვენ ახსნა-განმარტებების მიღებას როგორც მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისგან, ისე სხვა ფიგურანტი ადამიანებისგან. ამ წუთში სხვა კონკრეტული შეფასების გაკეთება გამიჭირდება გამომდინარე იქიდან, რომ ჯერჯერობით გასაანალიზებელია ყველა ეს ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ამ მოწმეებისგან, მიუხედავად იმისა, ისინი ამ წუთში არიან საპყრობილეში თუ ისინი არიან გარეთ, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

საგამოძიებო კომისიის წევრ დიმიტრი ცქიტიშვილის თქმით, გამოკითხვაზე მერაბ მორჩაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდზე იყო საუბარი.

შეგახსენებთ, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, მოწმეზე ზემოქმედების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით, მერაბ მორჩაძე 8 ივნისს დააკავეს.

გლდანში ყაჩაღობისთვის 2 პირი სარფში დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გლდანში მომხდარი ყაჩაღობისთვის 2 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა 15 ივლისს გლდანში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე 2 პირი დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 15 ივლისს მოქალაქე დ.ც.-ს ორი პირი დაესხა თავს, ცივი იარაღის მუქარით ფულადი თანხა გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები 1994 წელს დაბადებული ნ.ჩ. და 1994 წელს დაბადებული მ.წ. სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი საქართველოს დატოვებას ცდილობდნენ. სამართალდამცველების მიერ მათი პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა და დანაშაულებრივი გზით წაღებული თანხის ნაწილი. მიმდინარეობს ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები დარჩენილი გატაცებული თანხის ამოღების მიზნით.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქუთაისში პოლიციელი დაიღუპა

ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, როდესაც მათი ავტომობილი და მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს დაეჯახნენ.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი ადგილზე დაიღუპა, მეორე კი დაშავდა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციის და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები. დაშავებული პოლიციელი გადაყვანილია საავადმყოფოში, მას შესაბამისი სამედიცინო კვლევები უტარდება.

შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს სსკ 276-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებით.

დიღომში მოტოციკლი ახალგაზრდა ქალსა და 15 წლის ბიჭს დაეჯახა

გუშინ, 17 ივლისს, ლუბლიანას ქუჩაზე ავარია მოხდა. მოტოციკლი გზაზე 2 მოქალაქეს, ახალგაზრდა ქალსა და 15 წლის ბიჭს დაეჯახა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მოტოციკლის მძღოლი ამბობს, რომ ამდენ მანქანაში ისინი ვერ შენიშნა, რადგან მათ საგზაო მოძრაობის წესები დაარღვიეს და არ ისარგებლეს ზებრა გადასასვლელით.

დაშავებულები ჯაფარიძის კლინიკაში გადაიყვანეს. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო და საპატრულო ეკიპაჟები.

შვარცენეგერმა ტრამპს დოყლაპია უწოდა

„პრეზიდენტმა ამერიკას უღალატა“

ტრამპი-პუტინის შეხვედრამ ამერიკაში კრიტიკის მთელი ქარცეცხლი გამოიწვია. ტრამპს მისივე პარტიის წევრები მწვავედ აკრიტიკებენ.

ასე, მაგალითად, აშშ-ის სენატის საზღვარგარეთულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბობ კორკერმა (რესპუბლიკური პარტია) განაცხადა, რომ ტრამპ-პუტინის შეხვედრით იმედგაცრუებულია.

– რუსეთის ჩარევა ჩვენს არჩევნებში ეჭვს არ იწვევს. ჩვენმა სპეცსამსახურებმა ამასთან დაკავშირებით უამრავი მასალა შეკრიბეს. პრეზიდენტს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, ამაში ეჭვი შეეტანა, – თქვა კორკერმა.

მსგავს პოზიციას წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე პოლ რაიანიც იზარებს. ისიც ამბობს, რომ ჰელსინკის შეხვედრამ იმედები არ გაუმართლა.

კალიფორნიის შტატის ყოფილი გუბერნატორი, მსახიობი არნოლდ შვარცენეგერი მიიჩნევს, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე დონალდ ტრამპი, როგორც დოყლაპია, ისე გამოიყურებოდა.

მისი თქმით, ერთობლივ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლა სამარცხვინო იყო.

– პრესკონფერენციაზე როგორც დოყლაპია, ისე იდექით. ჩემ თავს ვეკითხებოდი, როდის გამოართმევდით პუტინს ავტოგრაფს ან მასთან სელფის გადაიღებდით, – ნათქვამია არნოლდ შვარცენეგერის ვიდეომიმართვაში.

არნოლდ შვარცენეგერის აზრით, დონალდ ტრამპმა უღალატა ამერიკის დაზვერვას, მართლმსაჯულების სისტემასა და ქვეყანას მთლიანობაში.



– თქვენ აშშ-ის პრეზიდენტი ბრძანდებით. ასე არ უნდა მოიქცეთ. რა დაგემართათ? რა დაემართა რონალდ რეიგანის იმ სიტყვებსა და ძალას, როდესაც ის ბერლინის კედელთან იდგა და გორბაჩოვს უთხრა: „ჩამოშალეთ ეს კედელიო“, – დასძინა მან.

არნოლდ შვარცენეგერი რესპუბლიკური პარტიის წევრია.

აშშ-ში რუსეთის მოქალაქე დააკავეს

აშშ-ში რუსეთის მოქალაქე მარია ბუტინა დააკავეს. მას ბრალი ჯაშუშობაში ედება.

ბუტინა აპირებდა, ამერიკულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში შეეღწია, რათა იქ რუსული ინტერესების ლობირება გაეწია. ახლა მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

სექტის მეთაურს ხუთი წელი მიუსაჯეს

მოსკოვის სასამართლომ სექტა „ღმერთი კუზია“-ს მეთაურ პოპოვს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ის თავს ე.წ. „ცოცხალ ღმერთად“ ასაღებდა. პოპოვი მხილებულ იქნა ფინანსურ მაქინაციებსა და ადამიანებზე ძალადობაში.

პროკურატურა პოპოვისათვის შვიდი წლით პატიმრობას ითხოვდა. სასამართლო ხუთს დასჯერდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ამერიკელი ქალი 60 მეტრის სიმაღლის კლდიდან გადავარდა და გადარჩა

ამერიკელი ქალი მანქანით 60 მეტრი სიმაღლის კლდიდან გადავარდნიდან ერთი კვირის თავზე ცოცხალი იპოვეს.

ქალი ავტომობილით პორტლენდიდან ლოს-ანჯელესში დასთან მიემგზავრებოდა. ის სანაპიროს გასწვრივ მდებარე შოსეზე მიდიოდა. ამ დროს მან ცხოველთან შეჯახებისთვის თავის ასარიდებლად საჭე მკვეთრად მოატრიალა, ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ მანქანა გზიდან გადავიდა და კლდიდან გადავარდა.

ის ტურისტებმა იპოვეს, რომლებმაც ბიგსურის რაიონში გადავარდნილი ავტომობილი შენიშნეს. ქალი იმან გადაარჩინა, რომ დამტვრეული მანქანის რადიატორის წყალს სვამდა. ქალი გონებაზე იყო და მხარი ჰქონდა ძალიან დაზიანებული. როგორც ქალაქ მონტერეის პოლიციის წარმომადგენელმა ჯონ ტორნბურგმა აღნიშნა, ქალს გაუმართლა, რომ ცოცხალი გადარჩა, ვინაიდან მსგავს შემთხვევებში ადამიანები ან სასიკვდილოდ იმტვრევიან, ან მათ ოკეანის დინება იტაცებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოროშენკო: „რუსეთი მარიუპოლზე შეტევას გეგმავს!“

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო სამხედრო წვრთნებს „სი ბრიზ 2018“ დაესწრო. უკრაინელი მეომრების წინაშე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ დონბასის ფრონტზე ახალი გამწვავებებია მოსალოდნელი.

– რუსეთი მარიუპოლზე შეტევას გეგმავს, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ შემთხვევითი მოვლენა არაა აზოვის ზღვაზე გახშირებული პროვოკაციები და უკრაინული ხომალდების დაკავება. ამით რუსეთი ცდილობს, მარიუპოლის, ბერდიანსკისა და აზოვის სხვა პორტების პარალიზება გამოიწვიოს.

– ამის შემდეგ ამ ქალაქებში რუსული დესანტი გადასხდება, – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ უკრაინელ სამხედროებს მოუწოდა, რათა მტრის შეტევის მოსაგერიებლად მზად იყვნენ.

ტუალეტში შესულმა ბრიტანელმა ტყუპები გააჩინა

ბრიტანელმა ქალმა ის, რომ ტყუპებზე იყო ფეხმძიმედ, საკუთარ სახლში მშობიარობის დროს შეიტყო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 21 წლის ბეტ ბემფორდი ღამით ადგა, ტუალეტში გავიდა და მოულოდნელად იმშობიარა.

სტაფორდშირის საგრაფოს მკვიდრს ეჭვადაც არ ჰქონია, რომ ფეხმძიმედ იყო, ვინაიდან მას რეგულარულად ჰქონდა მენსტრუაცია, ხოლო გამობერილ მუცელს ის სიმსუქნეს აბრალებდა. ფეხმძიმობის დროს გოგონა რამდენჯერმე იმყოფებოდა ექიმთან, ვინაიდან თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ მან უთხრა, რომ მას „ვირუსული ინფექცია“ ჰქონდა. ტყუპების გაჩენამდე ბემფორდს უკვე ჰყავდა ორი და სამი წლის გოგონები.

– საწოლში ვიწექი, როდესაც მოულოდნელად მუცელი ამტკივდა. წყალი დავისხი, ტკივილი მიძლიერდებოდა და გადავწყვიტე ტუალეტში გავსულიყავი, სწორედ იქ დამეწყო მშობიარობა, თანაც ისე, რომ ვერაფერი ვიგრძენი, – განაცხადა ბრიტანელმა.

მან მაშველებს დაურეკა, ისინი მას ტელეფონით რჩევებს აძლევდნენ. მას ურჩევდნენ, რომ გაჭინთულიყო, რათა პლანცეტა გამოსულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად მეორე ბავშვის ფეხები გამოჩნდა. როდესაც ბავშვი დაიბადა, არ სუნთქავდა და დისპეტჩერმა პანიკაში ჩავარდნილ ქალს ურჩია, ბავშვი შეეჯანჯღარებინა. ქალი რჩევის მიხედვით მოიქცა და ბავშვმა ამოისუნთქა.

ამ დროს ქალის ქმარმაც გაიღვიძა და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. თავდაპირველად არც მას და არც ექიმებს არ სჯეროდათ, რომ ბემფორდმა არაფერი იცოდა საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ. ამან ქალი ძალზე გაანაწყენა.

– მე ისედაც შოკში ვიყავი მშობიარობის შემდეგ, ამ დროს კი ისინი სიცრუეში მადანაშაულებდნენ, – ამბობს ბემფორდი.

საბოლოოდ ის მაინც გადაიყვანეს საავადმყოფოში. ექიმებმა აღიარეს, ის რომ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ ყოფილიყო, მაშინ საკეისრო კვეთას გაუკეთებდნენ. დედამ და ტყუპებმა საავადმყოფოში ერთი კვირა გაატარეს. ბავშვები სრულიად ჯანმრთელები აღმოჩნდნენ. თავად ბემფორდმა კი აღიარა, რომ ფეხმძიმობის დროს სიმძიმეებს წევდა, ცეკვავდა და ისეთ რამეებს აკეთებდა, რასაც არაფრის დიდებით არ გააკეთებდა, რომ სცოდნოდა, ფეხმძიმედ იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.

მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მილთონ ჰეიგს ახალი ასისტენტები ეყოლება

საქართველოს მორაგბეთა საწვრთნელ შტაბში ცვლილებებია. მომავალში მილთონ ჰეიგი ახალი გუნდით იმუშავებს, რადგან ავსტრალიელი სპეციალისტები – რიჩარდ გრეიმი (ხაზის მწვრთნელი) და ბრედ ჰარისი (შერკინების მწვრთნელი) ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბის წევრები აღარ არიან.

ამ გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ და ბორჯღალოსნების მთავარმა მწვრთნელმა მილთონ ჰეიგმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე ამცნეს.

ავსტრალიელებთან თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზად კომუნიკაციის ნაკლებობა დასახელდა, რისი შედეგიც ბოლო 6 თვეში, განსაკუთრებით კი ივნისის ტესტებზე გამოჩნდა.

გოჩა სვანიძის თქმით, მსოფლიო თასამდე ერთი წლით ადრე ნაკრებში ცვლილებები აუცილებელი გახდა და ახალი მწვრთნელების ვინაობა მალე გახდება ცნობილი.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპირველობა მარცხით დაიწყო

ბარსელონაში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები უნგრეთთან 5:12 დამარცხდა.

თუმცა, ეს არც გახლავთ გასაკვირი, რადგან მადიართა გუნდი მსოფლიოს ერთ-ერთი გრანდია. და მაინც, რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილმა გუნდმა მრისხანე მეტოქეს კარგა ხანს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია.

თავდაპირველად ქართველები დაწინაურდნენ, მაგრამ ეს იყო პირველი და ბოლო წინ გასვლა მატჩში. პირველი მეოთხედი უნგრელებმა 3:1 მოიგეს, მეორეში ჩვენებმა არაფერი დათმეს – 2:2. დაძაბული გამოდგა მესამე მეოთხედიც – 3:2 უნგრელთა სასარგებლოდ და დასკვნით პერიოდს მადიარები 3-ბურთიანი ჰანდიკაპით შეხვდნენ. ასეთი დონის გუნდთან, ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა რთულია, მით უფრო, რომ ფიზიკურადაც ვერ უწევ წინააღმდეგობას. ასეც მოხდა – უნგრელებმა ბოლო მეოთხედი 4:0, ხოლო მთლიანად მატჩი 12:5 მოიგეს.

ჩვენი გუნდიდან გოლები დამირ ცრეპულიამ (2), ბექა ქავთარაძემ, ანდრია ბითაძემ და ზურაბ რურუამ გაიტანეს.

შემდეგ მატჩს საქართველოს ეროვნული გუნდი გერმანიასთან ჩაატარებს, რომელმაც პირველი მატჩი 1:14 წააგო იტალიასთან.

პარმას ისევ დაქვეითება ემუქრება

დიდი შანსია, რომ იტალიის სერია დ-დან გაჭირვებით სერია ა-ში დაბრუნებული პარმა ისევ დაქვეითონ.

საქმე ის არის, რომ სერია ბ-ს ბოლო პარმა სპეციას სტუმრობდა და უმაღლეს დივიზიონში აღსაზევებლად მხოლოდ მოგება აწყობდათ.

როგორც ირკვევა, პარმას ფეხბურთელებმა ემანუელე კალაიომ და ფაბია ჩერავოლომ მატჩამდე სპეციას ფორვარდებს ფილიპო დე კოლსა და ალბერტო მასის მისწერეს, რომ მათ წინააღმდეგ ძალიან არ მოენდომებინათ.

მართალია, მოგვიანებით კალაიომ განაცხადა, რომ ეს ხუმრობა იყო, მაგრამ იტალიის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და კლუბისთვის 2 ქულის დაკლებას ითხოვს, რაც პარმას სერია ბ-ში დააქვეითებს, ელიტაში კი ავტომატურად პალერმო დაბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ პარმა ფინანსური პრობლემების გამო იტალიის სერია დ-ში იყო დაქვეითებული, თუმცა კლუბმა უმაღლეს დივიზიონში დაბრუნება მოახერხა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მცირე ფაქტები მუნდიალიდან

ალბათ რთულად მოიძებნება ადამიანი, რომელიც თამამად იტყვის, რომ რუსეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი პროგნოზირებადი იყო. მუნდიალზე გავხდით მოწმენი, თუ როგორ გავარდნენ გრანდები ადრეულ სტადიაზე და როგორ მოულოდნელად წაიწიეს წინ გუნდებმა, რომელთაგან ამდენს არ ელოდნენ.

მთლიანი ტურნირის მიმოხილვა შორს წაგვიყვანს და ნამდვილად არ გვეყოფა სასაუბროდ, შიგადაშიგ რამდენიმე მომენტს გამოვყოფთ და იმ თემაზე ვისაუბრებთ.

ისტორიის გამეორება

ცხადია, გერმანიის ჯგუფში ჩარჩენა წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ, თუ გადავხედავთ ბოლო 20 წლის ისტორიას, სულაც არ ყოფილა სენსაციური – 21-ე საუკუნეში არცერთ ევროპულ ნაკრებს, რომელსაც ტიტულის დაცვა უწევდა, ჯგუფური ეტაპი არ გადაულახავს.

პირველად ეს იყო სენსაცია, მეორედ – შოკი, ხოლო ზედიზედ ოთხჯერ? 1998 წლის ჩემპიონი საფრანგეთი მომდევნო მუნდიალზე ჯგუფში ჩარჩა, ისევე როგორც (იტალია 2006), ესპანეთი (2010) და გერმანია (2014). ახლა მთავარი კითხვაა, შესძლებს თუ არა საფრანგეთი 2022 წელს ყატარში ამ უსიამოვნო ტრადიციის დარღვევას.

არგენტინული წყევლა ნიგერია

დიდი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ როდესაც არგენტინაში ჯგუფური ეტაპის წილისყრის შედეგები გაიგეს, აღფრთოვანებულნი უნდა დარჩენილიყვნენ. ბოლო დროს ამ გუნდების „პაემანი“ ტრადიციად ჩამოყალიბდა. უფრო სწორად, მას შემდეგ რაც ნიგერია პირველად გამოჩნდა მუნდიალზე, 1994 წელს, ამერიკაში, მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ იყო შემთხვევა, რომ აფრიკული ნაკრები არგენტინას არ შეხვედროდა და ყოველთვის გამარჯვებული სამხრეთამერიკული ნაკრები გამოდიოდა.

ჰო, ყველა შეხვედრა არგენტინელთა ერთბურთიანი უპირატესობით დამთავრდა. მეტიც, ნიგერია არასდროს დაწინაურებულა მეტოქესთან. მიმდინარე მუნდიალზე არგენტინამ 2:1 მოიგო და კიდევ ერთი შტრიხი გაავლო – ზედიზედ მეორე მუნდიალი არგენტინა 2:1-ს იგებს, და გოლები ანხელ დი მარიასა და მარკოს როხოს გააქვთ. აქედან როხოს – გამარჯვების.

მექსიკელთა მოჯადოებული ბარიერი

„აცტეკების“ მონაწილეობა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატებზე სხვადასხვანაირ განცდას იწვევს – წარმატებასა და გაწბილებას. 1994 წლის შემდეგ მექსიკამ ყველა მუნდიალზე მიიღო მონაწილეობა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ 6 ნაკრებს ჩამორჩება. ყველა შემთხვევაში მექსიკელებმა გადალახეს ჯგუფური ეტაპი და ამ მხრივ ბრაზილიასთან ერთად საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ.

თუმცა, მათი წარმატებული სვლა ყოველთვის ჩერდება მერვედფინალში. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა – ურუგვაის ნაკრებმა 2:0 დაამარცხა მექსიკა და მათი მეოთხედფინალური ოცნება მინიმუმ 4 წლით გადადო.

სამხრეთამერიკელთა დისკომფორტი ევროპაში

მეოთხედფინალში ბრაზილიისა და ურუგვაის წაგებამ კიდევ ერთი წესი დანერგა – სამხრეთ ამერიკელებს ევროპაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატებზე აშკარად უჭირთ თამაში. 60 წელია გასული მას შემდეგ, რაც სამხრეთამერიკულმა ნაკრებმა ბებერ კონტინენტზე წარმატებას მიაღწია, ხოლო უკვე ზედიზედ მეორე ტურნირია, მათი წარმომადგენლები ნახევარფინალშიც ვერ გადიან.

შეწყვეტილი შავი სერიები

ხორვატები ჯგუფიდან გავიდნენ

1998 წელს გმირული თამაშისა და წარმატებული მუნდიალის შემდეგ ხორვატიის ნაკრებს ამჯერად კარდი დღეები დაუდგა. საფრანგეთში მოპოვებული ბრინჯაოს მედლების შემდეგ ხორვატებმა ვერაფრით მოახერხეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჯგუფური ეტაპის დაძლევა და ეს პირველად რუსეთში მოხდა.

მოკლედ, სადღეისოდ ასე ჩანს – თუ ხორვატია ჯგუფიდან გავიდა, მედალი გარანტირებული აქვს.

ინგლისმა პენალტების სერია მოიგო

ალბათ შვებით ამოისუნთქავდა ინგლისელთა ნაკრების მწვრთნელი გარეთ საუთგეითი, როდესაც მისმა გაწვრთნილმა გუნდმა მერვედფინალში პენალტების სერიაში კოლუმბიის ეროვნული გუნდი დაამარცხა. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ინგლისელებს მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში აქამდე არ მოეგო და საუბრობდნენ ბევრს, რომ ინგლისელებმა პენალტების დარტყმა არ იციან.

არა მარტო მუნდიალზე, ინგლისელებს პენალტების სერიაში არც ევროპის ჩემპიონატებზე მოუგიათ. მეტიც, 1996 წელს თავისი წვლილი პენალტების სერიის წაგებაში თავად საუთგეითსაც აქვს შეტანილი, როდესაც 11 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა. ამიტომაც იქნებოდა ინგლისელთა თავკაცი გახარებული, როდესაც ერიკ დაიერმა კოლუმბიასთან გამარჯვების პენალტი გაიტანა.

კოვაჩის რჩევა გერმანიას: მეტი არტისტიზმი

მიუნხენის ბაიერნის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ხორვატმა ნიკო კოვაჩმა, მსოფლიო თასზე გერმანიის ნაკრების ჩავარდნის განხილვისას დაასახელა ის თვისება, რომელიც „ბუნდესთიმის“ ფეხბურთელებს აკლიათ.

2018 წლის მუნდიალი მსოფლიოს ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონებისთვის კატასტროფული გამოდგა – ისტორიაში პირველი ჩარჩენა ჯგუფში და ძალიან უსახური ფეხბურთი.

ნიკო კოვაჩი:

– ვფიქრობ, გერმანიას პირველ რიგში დააკლდა ძლიერი ინდივიდუალისტები, რომელთაც მატჩის ბედი მოულოდნელად შეუძლიათ გადაწყვიტონ და აგრეთვე დაეხმარონ გუნდს, როდესაც მოწინააღმდეგე უბრალოდ საკუთარ ნახევარზე დგას. მესმის, რომ გერმანელი მთავარი მწვრთნელების გენებში ეს არ არის, მაგრამ მხოლოდ სიყვარულით, შრომისმოყვარეობითა და გრძნობით ვერ მიაღწევ წარმატებას. ეს თვისებები დრიბლინგსა და ბურთთან ურთიერთობას ვერ გასწავლის. ვფიქრობ, გერმანულმა აკადემიებმა სამხრეთ ამერიკული სკოლის მაგალითი უნდა აიღონ და მეტი ყურადღება მიაქციონ არტისტიზმს. ზოგჯერ საჭიროა ფეხბურთის უბრალოდ ხელოვნებად წარმოჩენა, მაგრამ მესმის, რომ გერმანიაში ეს საკითხი სადავოა.

აღსანიშნავია, რომ იოახიმ ლიოვმა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ალბათ ყველაზე ტექნიკური გერმანელი მოთამაშე, ლეროი სანე, არ წაიყვანა, ხოლო გუნდს კრეატივი და არტისტიზმი ნამდვილად სჭირდებოდა.

გორის დილა ლეგიონერების დამატებას აგრძელებს

ეროვნული ლიგის მე-3 წრეს გორის დილა გაძლიერებული შემადგენლობით შეხვდება. გორელები ამ დღეებში სამ ლეგიონერს დაიმატებენ.

ერიკს სანტოს პერეირა

22 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი. 182 სმ. სიმაღლის სამხრეთ ამერიკელს შეუძლია როგორც ცენტრალურ, ისე მარცხენა მცველად თამაში. სანტოსი ბრაზილიური ინტერნასიონალის აღზრდილია, თუმცა, დიდ გუნდში არ უთამაშია – მხოლოდ ერთხელ მოხვდა სერია ა-ში გუნდის განაცხადში. ბოლოს უკრაინულ მარიუპოლში ირიცხებოდა, სადაც ძირითადად სარეზერვო გუნდში თამაშობდა.

გაირა ჯოოფი

19 წლის გამბიელი ფორვარდი, რომელსაც გარემარბადაც შეუძლია თამაში. ახალგაზრდა ფეხბურთელი ისრაელის ბნეი იეჰუდას ეკუთვნის, თუმცა, ბოლო სეზონი, განათხოვრებით, რანგით მეორე დივიზიონში, ჰაპოელ რამათ ჰაშარონში გაატარა, სადაც 27 მატჩში 3 გოლი გაიტანა. ჯოოფს გამბიის 23-წლამდე ნაკრებშიც უთამაშია.

პა ომარ ბაბოუ

ჯოოფის მსგავსად, 19 წლის გამბიელია და უკვე ქვეყნის 20 და 23 წლამდე ნაკრებებში უთამაშია. ბაბოუ ამპლუით მარცხენა შემტევი ნახევარმცველია. ბოლოს ჰაიდუკ სპლიტის მეორე გუნდში თამაშობდა.



არსენ ვენგერი: „არსენალში ამდენი ხანი არ უნდა ვყოფილიყავი“

არსენალის ყოფილმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თავის ყოფილ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მან არსენალში ზედმეტად დიდი დრო გაატარა.

ვენგერის აზრით, მას უფრო ადრე შეეძლო წასვლა, მაგრამ არსენალის მიმართ სიყვარულის გამო ის გუნდს არ ტოვებდა, რასაც ამჟამად ნანობს:

– არსენალი ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, ამიტომაც ამ გუნდიდან არ წავედი, მაგრამ ახლა ამას ვნანობ, რადგან შემეძლო, სხვა გუნდშიც მემუშავა და ეს ნამდვილად საინტერესო იქნებოდა. არსენალში თითქმის მთელი ჩემი კარიერა გავატარე.

ჯორდან პიკფორდით ბაიერნი დაინტერესდა

ჯორდან პიკფორდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ინგლისის ნაკრები არაერთხელ იხსნა აშკარა გოლისგან. პიკფორდის კარგმა თამაშმა ბაიერნის ყურადღებაც მიიპყრო და გერმანელები პიკფორდის ყიდვას აპირებენ.

ევერტონი ამ ტრანსფერში 25 მილიონ ევროს ითხოვს, ხოლო ბაიერნი ამ თანხის გადახდაზე უარს ამბობს, ამიტომ, შესაძლოა, პიკფორდი ევერტონში დარჩეს.

პიკფორდის ძირითად მეკარედ დაყენებას ინგლისში ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, თუმცა ჯორდანმა ყველას დაუმტკიცა თავისი შესაძლებლობები.

მოამზადა ბექა გოგანაშვილმა

მძარცველმა მოპარული შოკოლადის ფული 43 წლის შემდეგ დააბრუნა



ბრიტანელმა შოკოლადის ქურდობისგან მიყენებული ზარალი, რომელიც მან 43 წლის წინ ლივერპულის სავაჭრო ცენტრში ჩაიდინა, აანაზღაურა. მძარცველის მიერ დატოვებული წერილი ტვიტერში მაღაზიის გვერდზე გამოქვეყნდა.

მამაკაცმა სავაჭრო ცენტრში გაგზავნა საკუთარი ხელით დაწერილი წერილი, ასევე ხუთი ფუნტი სტერლინგი. წერილში უცნობმა აღიარა, რომ 1975 წელს, როდესაც ჯერ კიდევ მოზარდი იყო, სავაჭრო ცენტრის მაღაზიაში ორი ცალი შოკოლადი მოიპარა.

– პატიებას გთხოვთ. უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. აქ ის ფულია, რომელიც მასში უნდა გადამეხადა, – წერია წერილში.

თავის მხრივ, სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციამ მამაკაცს მადლობა გადაუხადა და დაამატა, რომ ასეთი საქციელი „ადამიანურობის რწმენას აბრუნებს“.

მძინარე ამერიკელს გველი თავზე დაეცა



ამერიკის ნიუ-იორკის შტატის მცხოვრები ძილის დროს ზევიდან რაღაცის დაცემამ გააღვიძა. გაღვიძებულმა დაინახა, რომ ეს რაღაც გველი იყო და შეშინებულმა მაშველები გამოიძახა.

ინციდენტი ქალაქ ოსუიგოს მახლობლად მდებარე სოფელ პულასკიში მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ გველი ორმეტრიანი ჩვეულებრივი მახრჩობელა გამოდგა. ის თავისი პატრონის ტერარიუმიდან გაიქცა, რომელიც ზედა სართულზე ცხოვრობს. ქვეწარმავალი იატაკის ქვეშ სიცარიელეში შეძვრა და შემდეგ ქვევით ჩავარდა.

გველი მის პატრონს გადასცეს, რომელსაც გველის ყოლის შესაბამისი ლიცენზია აღმოაჩნდა. მამაკაცი, რომელსაც ქვეწარმავალი დაეცა, არ დაშავებულა.

ათეულობით მკვლელი ვეშაპის კუზიან ვეშაპზე ნადირობა ვიდეოზე გადაიღეს

ტურისტებმა მკვლელი ვეშაპების დიდი გუნდი შენიშნეს, რომლებიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად გამოჩნდნენ ავსტრალიის სანაპიროსთან კუზიან ვეშაპებზე სანადიროდ.

დაახლოებით 50 ზღვის მტაცებელი ავსტრალიის ქალაქ სიდნეიდან 11 კილომეტრში ბოტანის ყურეში სასეირნო ხომალდიდან შენიშნეს.

– ვეშაპებს ამ ადგილებში 2004 წლიდან ვადევნებ თვალს და მკვლელი ვეშაპები სიდნეისთან ასე ახლოს არასოდეს შემინიშნავს, – ამტკიცებს გიდი საიმონ მილერი.

წლის ამ დროს სამხრეთ ნახევარსფეროში ტემპერატურა ეცემა და ასეულობით კუზიანი ვეშაპი ჩრდილოეთისკენ მიემართება. შესაძლოა სწორედ ამას უკავშირდება მკვლელი ვეშაპების ავსტრალიის სანაპიროებთან გამოჩენა. ისინი კუზიან ვეშაპებზე ნადირობენ, ასევე დიდ თეთრ ზვიგენებსა და სელაპებზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ავსტრალიელი ხვლიკს გამოეკიდა და ქვიშაში გაიჭედა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ჰარვი-ბეის გარეუბანში ადგილობრივი მცხოვრები გადაარჩინეს, რომელიც ხვლიკს გამოეკიდა და ყელამდე ქვიშაში ჩაეფლო. 29 წლის მამაკაცი ამტკიცებს, რომ წვეროსანი აგამი დაინახა და ქვიშის დიუნებში გამოუდგა. მოულოდნელად ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და ორი მეტრის სიღრმის ორმოში აღმოჩნდა. მისი ყვირილი ადამიანებმა გაიგონეს, რომლებიც იქვე შორიახლოს აღმოჩნდნენ და მათ მაშველები გამოიძახეს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა აღმოაჩინეს, რომ მამაკაცი ყელამდე ქვიშაში იყო ჩაფლული. ისინი მის განთავისუფლებას სათლებითა და შიშველი ხელებით შეუდგნენ. შემთხვევის ადგილზე ასევე 20-მდე პოლიციელმა, პარამედიკოსმა და მეხანძრემ მოიყარა თავი, შემდეგ მათ ექსკავატორით კომუნალური სამსახურის თანამშრომლები შეუერთდნენ. სამაშველო ოპერაცია დაახლოებით ხუთი საათი გაგრძელდა.

პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ისინი დაზარალებულს იცნობენ და ვარაუდობენ, რომ ის ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა, როდესაც ხვლიკს გაეკიდა და ორმოში აღმოჩნდა.

ინდოელი გააფთრებულ სპილოს სასწაულებრივად გადაურჩა

სპილო ადამიანს თავს ინდოეთის კერალის შტატის ქალაქ მუნარის მახლობლად დაესხა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ახალი ამბების სააგენტომ გაავრცელა.

დიდი აგრესიული სპილო ჩაის პლანტაციაში შეიჭრა, სადაც იმ დროს მოშინაურებული სპილო მუშაობდა. მისმა პატრონმა გარეული ცხოველის შეშინება და გაგდება სცადა, თუმცა ცხოველმა მისი მცდელობა არაფრად ჩააგდო. მეორე სპილოს გაყვანა სახიფათო იყო, ვინაიდან ამას შესაძლოა გარეული ცხოველის მხრიდან კიდევ უფრო მძაფრი რეაქცია მოჰყოლოდა.

შინაური სპილოს პატრონს მისი ნათესავი მიეშველა. ის უკნიდან მიეპარა ცხოველს და დაუღრიალა, რათა მისი ყურადღება მიეპყრო. ამ ხმაურმა სპილო გააცოფა და ის მამაკაცს გაეკიდა, მაგრამ ფეხი აუსრიალდა და დაეცა. ინდოელმა ამით ისარგებლა და გაიქცა. დრო აღარც სპილოს პატრონმა დაკარგა და მოშინაურებული ცხოველი შემთხვევის ადგილს გაარიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 ივლისისთვის

ვერძი – საკუთარ პოზიციებს ნუ დათმობთ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. მოვლენები თქვენთვის არახელსაყრელ მიმართულებას იღებს. **კურო** – ბევრი საქმე გაქვთ. იაქტიურეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ბედი გწყალობთ. **ტყუპები** – ახალი და საინტერესო ნაცნობობა გელით. ინტიმურ სფეროში ფორტუნა გიღიმით. განვლილი გზის გაანალიზება მოგიწევთ. **კირჩხიბი** – შემოსავალი გეზრდებათ. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა პრობლემურია. იყავით შორსმჭვრეტელი. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან ნუ იჯიუტებთ. სიტუაცია, სავარაუდოდ, ჩიხში შედის. **ქალწული** – საკუთარ შეხედულებებს თავს ნურავის მოახვევთ. გაუფრთხილდით ფინანსებს. ქალებს მოკლევადიანი გატაცება გელით. **სასწორი** – საქმიანი კონტაქტებისაგან თავი შეიკავეთ. შეცდომის დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. **ღრიანკალი** – სურვილს იოლად აისრულებთ. უბრალო რამეზე ნერვებს ნუ მოიშლით. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილება გელით. ეს შესაძლოა ხანმოკლე გატაცებაც იყოს. **მერწყული** – მიენდეთ ინტუიციას, რომელიც დღეს განსაკუთრებით გიმახვილდებათ. საქმიან შემოთავაზებას უყოყმანოდ დათანხმდით. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოვლენები სწრაფად იცვლება. დიდ პასუხისმგებლობას ერიდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. მოქმედი ვულკანი ანტარქტიდაში; 2. ინგლისელი მიკრობიოლოგი, რამდენიმე ვიტამინის აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რაიმეს აგებულება, აღნაგობა, წყობა; 4. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 5. კატასტროფა, წარღვნა; 10. მილიონის ქართული სახელწოდება ძველად; 11. სპორტული ნაგებობა; 12. ხელოვნური აბრეშუმი; 13. ნახევარკუნძული აშშ-ში; 16. ლეონკავალოს ოპერა; 17. სამღვეროების რიგი ძველ თბილისში; 19. სოფოკლეს ტრაგედია; 21. ხეობა სტეფანწმინდას რაიონში; 23. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში.

თარაზულად: 6. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 7. მღვდლის ცოლი; 8. ავტონომიური ოლქი ესპანეთის სამხრეთში; 9. ტროას ომის გმირი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვრელი კონცერტზე, თეატრალურ წარმოდგენაზე; 15. პირისახისა და სხეულის კანის მოვლა-გალამაზება; 18. ცნობილი ქართველი უფოლოგი; 20. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 22. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 24. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 25. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 26. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალეპო; 4. კოალა; 5. მერანო; 6. იუპიტერი; 8. აბტვერპენი; 10. გლინტვეინი; 11. პერგამონი; 14. ჰიტროუ; 15. ასკანა; 16. სარკე.

თარაზულად: 1. თერჯოლა; 4. კიმიგაიო; 7. ლიანა; 9. ვოლგა; 12. პომპეო; 13. ატაშე; 14. ჰერეთი; 17. ოპიუმი; 18. ოლიგოფრენია; 19. ჯინჯილა; 20. ტეკილა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გორგაძე; 2. ფოტოლიზი; 3. დისტანცია; 4. ფერშალი; 5. მეტრანპაჟი; 10. ლუგელა; 11. ბაბლუანი; 12. კამპუსი; 13. ქარაგმა; 16. ჯალამბარი; 17. კრწანისი; 19. აფშერონი; 21. კოლტი; 22. ხომლი.

თარაზულად: 6. მორფოლოგია; 7. მეეზოვე; 8. ჯოყოლა; 9. ტალახაძე; 14. ნარიყალა; 15. ჰემინგუეი; 18. ტონგა; 20. ღრუბელი; 22. ბახტაძე; 24. ლონდრე; 25. ფავორიტი; 26. პოლისი.

ოპერის ქართველი ვარსკვლავები ბერლინის ფილარმონიაში გალაკონცერტს გამართავენ

26 სექტემბერს ოპერის ქართველი ვარსკვლავები ნინო სურგულაძე, იანო თამარ, ნინო მაჩაიძე, ქეთევან ქემოკლიძე, ბადრი მაისურაძე, მიხეილ ქირია, გიორგი ონიანი და რამაზ ჩიკვილაძე გერმანელი მსმენელის წინაშე წარდგებიან.

„საქართველოს ოქროს ხმები“ – ასე უწოდეს ოპერის ქართველი ვარსკვლავების გალაკონცერტს, რომელიც ბერლინის ფილარმონიაში ჩატარდება.

ქართველი მომღერლები ოპერის მოყვარული მსმენელისთვის მსოფლიოში ცნობილ საოპერო არიებს შეასრულებენ და კლასიკური მუსიკის ნამდვილ დღესასწაულს მოაწყობენ.

პანჩომ ირაკლი ჩარკვიანს სიმღერა მიუძღვნა



მომღერალმა პანჩომ გარდაცვლილ კოლეგას ირაკლი ჩარკვიანს სიმღერა მიუძღვნა.

პანჩომ არჩევანი ირაკლის ერთ-ერთ სიმღერაზე „შავი ზღვა“ შეაჩერა და თავისებური ინტერპრეტაციით შესთავაზა მსმენელს.

პანჩო:

– ირაკლი ჩარკვიანი და მე ერთ ეზოში ვცხოვრობდით. ეს სიმღერა ავირჩიე მისი გარდაცვალების შემდეგ და გავაკეთე ჩემი ვერსია. ბატონ გელას ძალიან მოეწონა და თქვენც თუ მოიწონებთ, გამიხარდება. ეძღვნება ირაკლის!

გუდაბერტყას ნამოსახლარს ტურისტული ინფრასტრუქტურა შეემატა

გუდაბერტყას არქეოლოგიურ ნამოსახლარს ტურისტული ინფრასტრუქტურა შეემატა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით გუდაბერტყას ნამოსახლართან ახალი ტურისტულ-ინფრასტრუქტურული ნაგებობა გაიხსნა.

არქეოლოგიური ძეგლის ვიზიტორები ამიერიდან გადასახედი მოედნით სარგებლობას შეძლებენ, რომლიდანაც კონფლიქტის ზონის ტერიტორია უშუალო თვალთახედვის არეალში ხვდება. ბაქანზე მოწყობილია საინფორმაციო ბანერები, რომლითაც უცხოელი და ადგილობრივი მოქალაქეები არქეოლოგიური ძეგლის შესახებ მიღებული ცნობების მიღმა, კონფლიქტური რეგიონის ირგვლივ და იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებაც მიიღებენ სათანადო ინფორმაციას. ახლო მომავალში, დამთვალიერებელთა მეტი ექსპრესიისთვის, გადასახედ მოედანზე ტურისტული ბინოკლიც განთავსდება, რაც ვიზიტორებს ცხინვალის რეგიონის მაქსიმალური სიახლოვით ვიზუალური ხედვის საშუალებას მისცემს. არქეოლოგიურ ობიექტზე მისულ ტურისტებს არქეოლოგიური გათხრების პროცესისა და მისი მიმდინარეობისას აღმოჩენილი არტეფაქტების გაცნობის საშუალებაც ექნებათ.

მიმდინარე წლიდანვე სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სხვა ტურისტული – ინფრასტრუქტურული ელემენტებით კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციაზე დაიწყებს მუშაობას. არქეოლოგიური საიტის ტერიტორიას ვიზიტორთა ცენტრი, სავალი ბილიკები და კაფე შეემატება. სამომავლოდ პროექტი ასევე მოიცავს გუდაბერტყას ტერიტორიიდან უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალამდე ველო და საცხენოსნო ტურიზმის ტრასების მოწყობასაც.

პარალელურად, გუდაბერტყას ნამოსახლარზე გრძელდება არქეოლოგიური კვლევა-ძიების პროცესიც, რომელიც სააგენტოს დაფინანსებით უკვე მე-3 წელია გრძელდება. არქეოლოგ გოგი მინდიაშვილის ხელმძღვანელობით ადგილზე მიმდინარე გათხრების შედეგად უკვე აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის, ძვ.წ.აღ.ის IV-III ათასწლეულის ნახანძრალი საკულტო ნაგებობა. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ყველაზე დიდ ნამოსახლარზე, რომელიც ორ კულტურულ ფენას მოიცავს, ზედა ფენაში აღმოჩენილია გვიანი ბრინჯაოს ადრე რკინის ხანის (ძვ. წ.აღ. XII-VII ს.ს.) შენობათა ნანგრევები, იმ დროისთვის დამახასიათებელი ფურნე, ღუმლები, რიგ შემთხვევაში კი დაუზიანებელი, მთლიანი ჭურჭელი. ქვედა ფენების გათხრებით კი გამოვლენილია ადრე ბრინჯაოს, მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ.აღ. XVII ს.) ნამოსახლარი, თითქმის მთლიანი ნაგებობების ნაშთები, იმ დროისთვის დამახასიათებელი ცენტრალურშვერილებიანი კერები, რომლებიც, როგორც წესი, შეღებილია წითელი საღებავით. გათხრების დროს ასევე ნაპოვნია იმ პერიოდის ჭურჭელი, გამომწვარი ბათქაში, რელიეფები.

გუდაბერტყას არქეოლოგიური ობიექტი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის 77-ე კილომეტრზე მდებარეობს.

სამგლოვიარო განცხადებები

ამირან ციცქიშვილისა და მისი შვილების – ნინოს, ნატოსა და სოსოს ოჯახები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და უსამძიმრებენ ბორის მაღლაკელიძის ოჯახსა და მის ახლობლებს

გოჩა ბორისის ძე მაღლაკელიძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ანსამბლ „ოდილას“ დაფინანსება აღუდგინეს

სოფელ კიცხში მოღვაწე ქართული ფოლკლორული ანსამბლი „ოდილა“ რამდენიმე დღის წინ დაფინანსების გარეშე დარჩა. ამ არასასიამოვნო ფაქტს სპეციალური სიუჟეტი მიუძღვნა გიორგი უშიკიშვილმა რუსთავი 2-ის გადაცემაში „სხვა შუადღე“.

ტელევიზიით სიუჟეტის გასვლის შემდეგ ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა განცხადება გაავრცელა და განაცხადა, რომ ინფორმაცია „ოდილას“ წევრებისთვის დაფინანსების მოხსნასთან დაკავშირებით, სიცრუეა:

ხარაგაულის მერია ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა „სხვა შუა დღეში“ ფოლკლორულ ანსამბლ „ოდილას“ შესახებ გასულ სიუჟეტს ეხმიანება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ანსამბლ „ოდილას“ დაფინანსება არ შესწყვეტია და ჩვენი შეფასებით, ანსამბლის შესახებ ასეთი ინტერპრეტაციით მომზადებული სიუჟეტი პირდაპირ ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

„ოდილა“ მუნიციპალიტეტის ა(ა)ი-ებში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ დროებით გადავიდა პროგრამულ დაფინანსებაზე, რითაც მათი ყოველთვიური ანაზღაურება სპეციალური პროგრამული დაფინანსებით შეიცვალა და ამის შესახებ ანსამბლის ყველა წევრი იყო ინფორმირებული.

მნიშვნელოვანია, რომ სიუჟეტის ჩაწერამდე ხარაგაულის მერისგან და მერიის კულტურის სამსახურის უფროსისგან „ოდილას“ წევრებმა მიიღეს წინადადება, რომ მათი ყოველთვიური დაფინანსება მალე აღდგებოდა. კონკრეტულად, ეს მოხდება მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან, როცა სოფელ კიცხში, 2007 წელს გაუქმებული კულტურის ცენტრის აღდგენა იგეგმება. სამწუხაროა, რომ ზემოთ აღნიშნულის შესახებ გადაცემაში არც ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი.

სიმართლეს არ შეესაბამება ასევე, ანსამბლ „უბისის“ დაშლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ „საუნჯის“ ლოტბარის ხელფასის განახევრებაც.

მკაფიოდ ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას და ხაზგასმით განვმარტავთ, რომ ტელევიზიის მხრიდან სიუჟეტის მომზადების შესახებ ინფორმაცია არ მიგვიღია, გადაცემა მომზადდა ცალმხრივად, სადაც აშკარად იკვეთება მხარე და თემა პოლიტიკურ ჭრილში გადადის.

ხარაგაულში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა ფოლკლორისა და კულტურის განვითარებას, ამას მოწმობს წლების განმავლობაში შენარჩუნებული და აღნიშნულ სფეროში ქვეყნის მასშტაბით წარმატებით მოღვაწე შემოქმედებითი ჯგუფები. ფოლკლორის ხელშეწყობა ხარაგაულში იყო და ყოველთვის იქნება პრიორიტეტი.

გიორგი უშიკიშვილი:

– რაც არ უნდა განცხადებები გამოაქვეყნოთ და თავი იმართლოთ ან მოხუცებს დააბრალოთ, რომ რამე ვერ გაიგეს და ჩვენც შეცდომაში შეგვიყვანეს, ფაქტი ერთია, უკვე მეორე თვეა ამ ხალხს ხელფასი არ აუღია და ყოველი თვის ბოლოს იმ 150 ლარს ვეღარ იღებენ! იურიდიული მხარეები თქვენი პრობლემაა და ნუ ცდილობთ ამ ბიუროკრატიაში 80 წელს გადაცილებული მოხუცების ჩათრევას. მათ თვის ბოლოს სიმბოლური 150 ლარის აღება უნდათ მხოლოდ.

რაც შეეხება ფოლკლორის მხარდაჭერას, თუ ამ ხალხს დაუბრუნებთ იმ სიმბოლურ ხელფასს, რაც ჰქონდათ და თუ ასე შეგტკივათ გული, მოუმატებთ კიდეც ხელფასს, პირობას ვიძლევი, რომ ერთს კი არა, ორ გადაცემას გავაკეთებ თქვენ გაკეთებულ კარგ საქმეებზე.

პ.ს. ჩემი აზრით, ჯობდა გეღიარებინათ, რომ გაურკვევლობა მოხდა და მყისიერად აღგედგინათ მოხსნილი ხელფასები. ეს ბევრად ღირსეული საქციელი იქნებოდა.

მოგვიანებით გიორგი უშიკიშვილმა სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ „ოდილას“ წევრებს დაფინანსება ისევ ექნებათ:

– დამირეკეს სოფელ კიცხიდან ანსამბლ „ოდილას“ წევრებმა და მაცნობეს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა გაუგზავნა ხელშეკრულებები და ანსამბლს ხელფასები აღუდგება სექტემბრიდან. დიდი მადლობა ყველას და იმედია მსგავსი ფაქტები აღარ მოხდება.

ანსამბლი „ივერია“ „ჩხიკვთა ქორწილს“ ბლექ სი არენაზე დადგამს

ლეგენდარული ანსამბლი „ივერია“ თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მიუზიკლს „ჩხიკვთა ქორწილი“ ბლექ სი არენაზე დადგამს.

28 აგვისტოს საკონცერტო დარბაზში მისულ მსმენელს საშუალება ექნება ანსამბლის ლეგენდარულ წევრებთან თემურ წიკლაურთან, მანანა თოდაძესთან, ნუგზარ კვაშალთან, ვახტანგ ტატიშვილთან ერთად, ახალი თაობის ხელოვანებიც იხილოს.

განახლებულ „ჩხიკვთა ქორწილში“ მონაწილეობას მიიღებენ ნუცა ბუზალაძე, ანდრია გველესიანი, ჯანო იზორია, გია ბაღაშვილი და მისი მეუღლე, ქუჩის მუსიკოსები.

„ივერიას“ გადაწყვეტილებით, „ჩხიკვთა ქორწილი“ ბლექ სი არენაზე მხოლოდ ერთი დღით იქნება წარმოდგენილი.

რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთები“ პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის მოკლე ნუსხაში მოხვდა



ქართველი მწერლის რეზო ჭეიშვილის ცნობილი ნაწარმოების „ცისფერი მთების“ გერმანული თარგმანი პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის მოკლე ნუსხაში მოხვდა. საუკეთესო წიგნებისთვის ხმის მიცემა და მათთვის გამარჯვების მიცემის შანსი ნებისმიერ მსურველს ინტერნეტში შეუძლია.

ინფორმაცია წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა დეა მეტრეველმა გაავრცელა:

– რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთები“ (გერმანული თარგმანი) მოხვდა პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის შორთლისტში. არ დაიზაროთ და მიეცით ხმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სასწაულებრივი მამაპაპური ბუნებრივი წამალი, რომელსაც ქალბატონი ეთერი ფლობს

ქალბატონო ეთერ, თქვენ ძალიან გაქებენ, როგორც სასწაულმოქმედ მკურნალს. მეც მინდა ორიოდე სიტყვით დავწერო:

– მე ვარ დავით წილკაძე. მქონდა კუჭისა და საყლაპავი მილის თიაქარი. კუჭზე მქონდა წყლულიც, რომელიც მალე ალბათ სიმსივნეში გადაიზრდებოდა. ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. ქალბატონმა ეთერმა, ისეთი წამალი დამიმზადა, რომ ორივე დაავადება ერთ თვეში გამიქრა. მრავალი ჩემნაირი გაჭირვებული აკითხავს ქალბატონ ეთერს და შედეგსაც მალევე ხედავს. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ქალბატონო ეთერ.

– მქონდა დისბაქტერიოზი კუჭის აშლილობით. დიდი ხანი ვებრძოდი ქიმიური საშუალებებით, მაგრამ შედეგი არ გამოიღო. მივედი ეთერისთან და მისი წამლის დალევიდან 5 დღის შემდეგ თავი ძალიან კარგად ვიგრძენი. ქალბატონო ეთერ, თქვენი დამსახურებით თავს ვგრძნობ ძალიან კარგად, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა. იყავით სულ უბერებელი.

– მქონდა კუჭის კიბო, მეოთხე სტადია. ძალიან დიდი შედეგი გამოიღო ქალბატონი ეთერის წამლებმა. ახლაც ვსვამ ამ წამლებს, რომლებმაც სიცოცხლე მაჩუქეს. ქალბატონო ეთერ, თქვენ საქართველოში ბადალი არა გყავთ, – მეცნიერ მუშაკი ანდრია მარსაკიძე, – დიდ მადლობას ვუცხადებ ჩემი მორჩენისათვის ქალბატონ ეთერს. მისი მალამო სასწაულებს ახდენს ნაწოლებზე, ბუასილზე, ძნელად შესახორცებელ ჭრილობებზე. მქონდა აგრეთვე პროსტატის ადენომა, გართულებულ მდგომარეობაში და ეთერის წამალმა დიდი შედეგი გამოიღო. მე ეს წამალი იტალიაში გავაგზავნე და იქაც დიდი შედეგი გამოიღო. იცოცხლე ძალიან დიდხანს.

ქალბატონი ეთერ კიკვილაშვილის ტელეფონია: 599-96-44-63; 269-17-37

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.4479

ევრო — 2.866

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2462

100 რუსული რუბლი — 3.9322

ამინდის პროგნოზი 18 ივლისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ლივერპული ალისონს არ ეშვება

ლივერპული კვლავინდებურად ცდილობს რომას გოლკიპერ ალისონ ბეკერის შეძენას. დაახლოებით ერთი თვის წინ ალისონი ახლოს იყო ლივერპულთან, მაგრამ მაშინ რომამ 80 მილიონი ევრო მოითხოვა და ლივერპულმა ამ თანხის გადახდაზე უარი თქვა.

როგორც ჩანს, ლივერპული ცდილობს, რომა უფრო ნაკლებ თანხაზე დაითანხმოს და მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

თვითონ ალისონმა განაცხადა, რომ ბედნიერია რომაში, მაგრამ მომავალში კლუბის შეცვლას არ გამორიცხავს.

ალისონი მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების პირველი მეკარე იყო.

ალექსის სანჩესს ამერიკის ვიზა არ მისცეს

მანჩესტერ იუნაიტედი ამერიკის შეერთებულ შტატებში ალექსის სანჩესის გარეშე იქნება, რადგან სანჩესს ამერიკაში შესასვლელი ვიზა არ მისცეს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ალექსისს ესპანეთში გადასახადების გადაუხდელობის გამო პირობითი სასჯელი აქვს მისჯილი.

თავის დროზე სანჩესმა თითქმის მილიონი ევრო არ გადაიხადა, რის გამოც მას ესპანეთში კანონთან სერიოზული პრობლემები შეექმნა. მანჩესტერ იუნაიტედის იურისტები ცდილობენ, ეს პრობლემა მოაგვარონ და სანჩესმა შეძლოს თავისი გუნდის ამხანაგურ შეხვედრებში მონაწილეობა.

კრიშტიანუ რონალდუ: „რეალს მხოლოდ იუვენტუსის გამო თუ დავტოვებდი“

კრიშტიანუ რონალდუმ იუვენტუსში ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ მას იუვენტუსი ყოველთვის მოსწონდა და ამ გუნდში გადასვლა მისთვის დიდი პატივია.

რონალდუს აზრით, იუვენტუსს შეუძლია, მსოფლიოში საუკეთესო კლუბი გახდეს.

– იუვენტუსი ერთადერთი გუნდია, რომლისთვისაც რეალს დავტოვებდი და მიხარია, რომ იუვენტუსის ფეხბურთელი ვარ. ამ გუნდში მხოლოდ გამარჯვებებისთვის მოვედი და იუვენტუსმა ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს, – განაცხადა რონალდუმ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქალაქში ჩასული სოფლელი ქუჩაში ბავშვს ეკითხება:

– ბიჭო, დიდი ხანია წვიმს?

– არ ვიცი, მხოლოდ ექვსი წლის ვარ...

•••

ხანგრძლივი ქეიფის შემდეგ სტუმარი ცხენს მოახტა და წასვლას აპირებს. მასპინძელი ეუბნება:

– არ წახვიდე, შენი ჭირიმე, ჯერ კიდევ ბევრი ღვინო დაგვრჩა დაულეველი.

– არა, მეგობარო, სახლში უნდა დავბრუნდე, ვერ დავრჩები.

– არ წახვიდე, შენი ჭირიმე, ჯერ კიდევ ბევრი საჭმელი დაგვრჩა შეუჭმელი.

– ვერ დავრჩები, მეგობარო, სახლში მელოდებიან, უნდა წავიდე.

– არ წახვიდე, შენი ჭირიმე, ჯერ კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა უთქმელი.

სტუმარი ჩაფიქრდა, მერე ცხენიდან ჩამოხტა და მასპინძელს ეუბნება:

– კარგი. დავრჩები და ეს ცხენი სად დავაბა?

– აგერ, ენაზე გამომაბი.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ხვალ ცოლს ვირთავ.

– სიყვარულით?

– მამამისმა მითხრა, რომ „სიყვარულით!“

•••

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– რას ნიშნავს, ორი რგოლი საქორწინო მანქანის თავზე?

– ჯერჯერობით ანგარიში 0:0-ია.

•••

პარფიუმერიის განყოფილებაში ქალი გამყიდველს ეკითხება:

– კარგი სუნამო გააქვთ?

– რისთვის გინდათ? თავდაცვისთვის თუ თავდასხმისთვის?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სირცხვილია, მთელი ცხოვრება ზღვასთან ცხოვრობ და ცურვა არ იცი.

– რას ამბობ, შენ რომ აეროპორტთან ცხოვრობ, რა, ფრენა ისწავლე?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

„პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალი“ პირველად გახდება დედა

ამერიკელი სუპერმოდელი კეიტ აპტონი, რომელიც ჟურნალ Maxim-ის ვერსიით 2018 წლის პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარეს, პირველად გახდება დედა. საკუთარი ფეხმძიმობის თაობაზე ინფორმაცია მან ინსტაგრამის საშუალებით გაავრცელა.

26 წლის მოდელმა გამოაქვეყნა ფოტოგრაფია, რომელზეც ის სასტუმროს აივანზე ზღვის ფონზეა აღბეჭდილი და მას თან დაურთო ხეშტეგი „ფეხმძიმედ მაიამიში“. მან ასევე კომენტარში აღნიშნა თავისი მეუღლე, ბეისბოლისტი ჯასტინ ვერლანდერი.

კეიტ აპტონი კარიერის დასაწყისში ისე გამოდიოდა, როგორც პლუს-სიზე მოდელი, მაგრამ შემდეგ წონაში დაიკლო. 2014 წელს ის ასევე წლის ყველაზე სექსუალურ ქალად ჟურნალ People-ს ვერსიით აღიარეს. აპტონი Victoria's Secret-ს საცვლების და საცურაო კოსტიუმების მარკის სახე იყო, ასევე რამდენიმე ფილმში ეპიზოდურ როლებშია გადაღებული. ჯასტინ ვერლანდერდს ის ცოლად 2017 წელს გაჰყვა. ისინი მანამდე სამი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ამერიკელი საკუთარ ინტუიციას ენდო და ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის მკვიდრმა მამაკაცმა ინტუიციით ცხრა ცალი ლატარიის ბილეთი იყიდა და 900 ათასი დოლარი მოიგო.

რობერტ ლანდსტედტმა თავდაპირველად ოთხი ბილეთი შეიძინა სუპერმარკეტში. შემდეგ, მისი თქმით, ინტუიციამ მინიმარკეტში კიდევ ორი, პატარა მაღაზიაში ორის და ავტოგასამართ სადგურზე კიდევ ერთი ბილეთის ყიდვა უკარნახა. ყველა მათგანში მან ერთნაირი ნომრები ჩაწერა: 1, 7, 11, 26, 30.

ერთ-ერთი ბილეთი ლანდსტედტმა თავის ბიჭს მისცა, მეორე ქალიშვილს. მოგების შესახებ კი მან დილის გაზეთიდან შეიტყო.

ამერიკელი მოგებული თანხით იპოტეკის დაფარვას აპირებს, ხოლო მისი შვილები სწავლის საფასურის გადახდას.

– ეს მოგება ჩვენ ცხოვრებას ძალიან არ შეცვლის. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ. უბრალოდ მცირე თანხის გადადებას მოვახერხებთ, – განაცხადა ლანდსტედტის შვილმა ბრაიანმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. რბილი, დაბალყელიანი ფეხსაცმელი ძველად საქართველოში; 2. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 3. ტყემლის ერთ-ერთი სახეობა; 4. მინერალური წყალი სამეგრელოში; 5. ცნობილი თეატრი ლონდონში; 6. ზამთრის კურორტი პოლონეთში; 8. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ექიმის ერთ-ერთი სპეციალობა; 11. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი ქვა; 14. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 15. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 16. ბრაზილიური ცეკვა.

თარაზულად: 1. ჭაობში ბინადარი, სისხლის მწოველი ჭია; 4. ხერხემლის გამრუდება; 7. დადუღებული ყურძნის წვენი; 9. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 12. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 13. მუსლიმანური კალენდარი; 14. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 17. ყვავის ნაშიერი; 18. პოლიტიკური ხასიათის არალეგალური საგიტაციო ფურცელი; 19. ხმადაბლა სიცილი; 20. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა